European Commission

*სასკოლო განათლება*

# მოქალაქეობრივი განათლება eTwinning-ის ხელშეწყობით

eTwinning

Erasmus+
Enriching lives, opening minds.

დამატებითი ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ ხელმისაწვდომია ონლაინრეჟიმში (http://europa.eu).

ლუქსემბურგი: ევროკავშირის გამომცემლობა, 2025 წელი

| | | | |
|---|---|---|---|
| Print | ISBN 978-92-9488-954-6 | doi: 10.2797/7672422 | EC-01-25-069-KA-C |
| PDF | ISBN 978-92-9488-953-9 | doi: 10.2797/1935824 | EC-01-25-069-KA-N |
| EPUB | ISBN 978-92-9488-952-2 | doi: 10.2797/5812565 | EC-01-25-069-KA-E |

© ევროკავშირი, 2025

წინამდებარე გამოცემა მომზადდა eTwinning-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლების, ნიკოლაოს მურატოღლუს, ალესია ფოსკის და ირენ პატერაკის ავტორობით. აღნიშნულ სამსახურს ხელმძღვანელობს „ევროპის სქულნეტი“ (EUN Partnership), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ კონტრაქტორს და არ წარმოადგენს დამკვეთი ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას.

ევროკომისიის დოკუმენტების ხელახალი გამოყენება ხორციელდება ევროკომისიის 2011 წლის 12 დეკემბერს დამტკიცებული გადაწყვეტილების 2011/833/EU „კომისიის დოკუმენტების განმეორებითი გამოყენების შესახებ“ (OJ L 330, 14.12.2011, გვ. 39) თანახმად. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ამ დოკუმენტის განმეორებითი გამოყენება დასაშვებია „შემოქმედებითი საზოგადოების საავტორო უფლებების 4.0 საერთაშორისო ლიცენზიის“ (CC BY 4.0) (https://creativecommons.org/licenses/by/4.0/) შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ დოკუმენტის ხელახალი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საავტორო უფლებებისა და შეტანილი ცვლილებების მითითების შემთხვევაში.

ნებისმიერი კომპონენტის გამოყენების ან რეპროდუცირების შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს ევროკავშირის საკუთრებას, საჭიროა ნებართვის მიღება უშუალოდ შესაბამისი უფლების მფლობელისაგან. ევროკავშირი არ ფლობს საავტორო უფლებებს ისეთ გამოსახულებებზე, რომელსაც არ ახლავს შემდეგი საავტორო უფლების ნიშანი © ევროკავშირი.

წინამდებარე პუბლიკაციის ქართულ ენაზე თარგმნა განხორციელდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. თარგმანის შინაარსში შესაძლო უზუსტობების არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ცენტრს შემდეგ ელფოსტაზე: etwinning@tpdc.ge. აღნიშნული პუბლიკაციის თარგმანის სიზუსტეზე ან მის შედეგად წარმოშობილ შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობას არ იღებს ევროპის კომისია.

საავტორო უფლებები

ყდის ფოტო: ©სესილია ბრუნოლი, ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური

სხვა გამოსახულებები: გვ.6: ©Clker-Free-Vector-Images, aunaun art studio’s Images, Fredy Sujono from Freud via Canva, გვ.7: © ევროკავშირი, 2024, გვ.10: ©Noun Project Eucalyp, Eucalyp, aunaun art studio’s Images via Canva, გვ.14: ©iwitostudio, erifqizeicon, bomsymbols via Canva, გვ.20: ©ELCREATIVE, Motif Mavens, Wena Vega via Canva გვ.21-გვ.45: ©Projects TwinSpace, გვ.46: ©satriyo pujo, iwitostudio via Canva, გვ.60: ©aunaun art studio’s Images, Koondon from Koondon’s Images, Eucalyp via Canva, გვ.62: ©Freeicon via Canva, გვ. 64: ©ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური, Noun Project, Kevin Kellar from Noun Project, Aficons studio, გვ. 65, 68-71, 72: © ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური, გვ. 68: ©რეფლექსიები eTwinning-ის შესახებ, პედაგოგების საკონსულტაციო ჯგუფი (2006), eTwinning ლიეტუვა, გვ.69: ©eTwinning-ის პროექტი ESCAPE (უნარ-ჩვევები, კომპეტენციები და პრაქტიკა ეკონომიკის გასაძლიერებლად), გვ.69: ©საბერძნეთის ეროვნული მხარდაჭერის ორგანიზაცია. გვ.68,70,71: ©ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური.

გრაფიკული დიზაინი: სესილია ბრუნოლი

# სარჩევი

**წინასიტყვაობა** 7

**როგორ უწყობს ხელს eTwinning მოქალაქეობრივ განათლებას?** 11

**პოლიტიკიდან პრაქტიკაში: მოქალაქეობრივი განათლების განხორციელება** 15

რეფლექსია ევროპაში მოქალაქეობრივი განათლების შესახებ 15

ოპტიმიზმის სწავლება 17

**eTwinning-ის პროექტები** 21

Schoolnest: ადგილი კეთილდღეობისთვის #eTwinnovation 21

მჯერა, რომ მე შემიძლია ... 22

ვირჩევთ უკეთეს, უფრო ლამაზ, მდგრად და ერთიან მომავალს #etw4future 23

STEM-ის მარჯვე მთხრობელები და STEAM-ის ამოცანების კრეატიული ამომხსნელები 24

მე მაქვს უფლებები 25

მოდით, ვითამაშოთ ევროკავშირთან ერთად 26

3, 2, 1...დავიწყეთ! SDG-ის გმირები ჩვენს დასახმარებლად! 27

დღევანდელი ბავშვები, მომავლის არქიტექტორები არიან 28

პატარა პრინცი STEAM#eTwinnovation 29

ნათელი B.R.I.G.H.T. მომავლის შექმნა 30

Europe@ns. დიახ, ჩვენ ეს შეგვიძლია. 31

EU4Teens 32

Lead4Peace 33

მოდით, გავამწვანოთ ჩვენი მომავალი 34

მე, ჩემი მემკვიდრეობა და შენ 36

Dade-ის გზა ცვლილებისკენ 37

ციფრული მეწარმეობა და თაობა-Z 38

გაუღეთ ფანჯარა ევროპას! 39

მოქალაქეობრივი განათლება eTwinning-ის ხელშეწყობით


| | |
|---|---|
| არა ერთჯერად მომხმარებლობას, გადავამუშავოთ და ხელახლა გამოვიყენოთ | 40 |
| კიბერუსაფრთხოება | 41 |
| E.Y.E.S. დემოკრატიის შესახებ (Engaged Young European Students) | 42 |
| NextGenEUropeans | 43 |
| SocioScienceTwinning | 44 |
| ევროპელი ცვლილების შემქმნელები | 45 |
| **აქტივობები** | **47** |
| მშვიდობა და კონფლიქტების მოგვარება | 47 |
| გარემოსდაცვითი ცნობიერება და სამოქალაქო ჩართულობა | 49 |
| დემოკრატია და სოციალური პასუხისმგებლობა | 51 |
| გენდერული თანასწორობა და სამოქალაქო ჩართულობა | 53 |
| სამეცნიერო მსჯელობა და აქტიური მოქალაქეობა | 54 |
| ადამიანის უფლებების ადვოკატირება | 56 |
| კრიტიკული ციფრული წიგნიერება | 57 |
| **დასკვნა** | **61** |
| **გამოყენებული ლიტერატურა** | **63** |
| **აღვნიშნავთ etwinning-ის 20 წლის იუბილეს: ვაკავშირებთ მასწავლებლებს, ხელს ვუწყობთ განათლებას** | **65** |
| eTwinning: როგორ დაიწყო ეს ყველაფერი | 65 |
| eTwinning ერთი თვალის გადავლებით | 66 |
| eTwinning - ევროპელი პედაგოგების საზოგადოება | 67 |
| რას ამბობენ მასწავლებები? | 68 |





# წინასიტყვაობა

**როქსანა მინზატუ**
*აღმასრულებელი ვიცე -პრეზიდენტი „სოციალური უფლებისა და უნარების, ხარისხიანი დასაქმებისა და მზადყოფნის“ საკითხებში*

მოქალაქეობა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ იურიდიული სტატუსი. მოქალაქეობა გაზიარებადი ვალდებულებაა, აღებული საზოგადოების მიმართ, რომლის საყრდენსაც ადამიანის უფლებები, პასუხისმგებლობები და ღირებულებები წარმოადგენს. მოქალაქეობა მიკუთვნებულობაა იმ საზოგადოების, სახელმწიფოსა და ისტორიისადმი, რომელსაც ერთად ვქმნით. მოქალაქეობა აქტიური ჩართულობაა, იქნება ეს არჩევნებში, მოხალისეობრივ საქმიანობასა თუ დიალოგში. მოქალაქეობა პასუხისმგებლობაა გამყარებული საერთო ღირებულებებით, დემოკრატიითა და სოლიდარობით, არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვა ადამიანების მიმართ.

ამასთან, მოქალაქეობა ნიჭი არ არის, არამედ დასწავლადი უნარია. მოქალაქეობა ვითარდება პრაქტიკაში და ხორცი ესხმება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ ყველაფერს კი, საკლასო ოთახში ეყრება საფუძველი. ეს წიგნი, გამოცემული eTwinning-ის მიერ 2025 წელს, სწორედ რომ აღნიშნული ყოველდღიური ძალისხმევისადმი მიძღვნილი ნაშრომია. მასში აღწერილია ევროპელი მასწავლებლებისა და მოსწავლეების კოლექტიური მისწრაფება, აქციონ ზემოაღნიშნული ღირებულებები ცხოვრებისეულ გამოცდილებად, რაც ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას გახდნენ უფრო მეტად ინფორმირებული, პასუხისმგებლობით სავსე, აქტიური მოქალაქეები.

წინამდებარე გამოცემა გამორჩეულია, რადგან მასში საზეიმოდ აღვნიშნავთ Erasmus+ პროგრამის ერთ-ერთი ფლაგმანური ინიციატივის, eTwinning-ის 20 წლის იუბილეს. ორი ათეული წელია, eTwinning აკავშირებს ევროპის მასშტაბით საკლასო ოთახებს, ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, ციფრულ ინოვაციებსა და კულტურათშორის გაცვლას.

დღეს, მზარდი გეოპოლიტიკური დაძაბულობის ეპოქაში, საზეიმოდ აღნიშვნა იმისა, თუ რა გვაერთიანებს ჩვენ, ევროპის მოქალაქეებს, ძალზედ მნიშვნელოვანია. ერთ-ერთ ასეთ მოვლენად გასულ წელს იქცა ევროპაში გამართული არჩევნები. ოთხ წევრ სახელმწიფოში 16 წლის ახალგაზრდებს, პირველად მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ ევროპულ არჩევნებში. მათი საარჩევნო ხმა დემოკრატიულ საეტაპო მოვლენად იქცა, ასევე მნიშვნელოვან შეხსენებად იმისა, რომ ახალგაზრდები არა მხოლოდ ჩვენი მომავალია, არამედ აქტიურად არიან ჩართულები დღევანდელი დღის შენებაშიც.

თუმცა, დემოკრატიულ პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის, ახალგაზრდებს შესაბამისი ცოდნა, უნარები და თავდაჯერებულობა ესაჭიროებათ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ჩვენი პირველი მნიშვნელოვანი ინიციატივა Union of Skills (უნარების გაერთიანება), რომლის უმთავრეს ნაწილსაც „საბაზისო უნარების სამოქმედო გეგმა“ წარმოადგენს. წიგნიერების, არითმეტიკის, საბუნებისმეტყველო

მეცნიერებებისა და ციფრული უნარების გვერდით, მოქალაქეობა უკვე დასახელდა მეხუთე აუცილებელ უნარად, რომელიც ყველა ევროპელმა მოსწავლემ უნდა აითვისოს. მოქალაქეობა უფრო მეტია, ვიდრე პოლიტიკური გადაწყვეტილება; მოქალაქეობა ჩვენი მომავლის წინაშე აღებული ვალდებულებაა.

ამის პარალელურად, ახალი „ევროკავშირის მზადყოფნის სტრატეგია“ (European Preparedness Union Strategy) მიზნად ისახავს სამოქალაქო განათლების გაძლიერებას, მაგალითად ისეთი უნარების განვითარებაზე ფოკუსირებით, რომლებიც აუცილებელია მცდარი ინფორმაციისა და დეზინფორმაციის ამოსაცნობად და დასაძლევად მცირე ასაკიდანვე. მზადყოფნა დღეს განათლების სფეროს ერთ-ერთი საკვანძო პრიორიტეტია, რომლის ინტეგრირებაც ისეთ ახალგაზრდულ პროგრამებში ხდება, როგორიცაა Erasmus+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსი.

eTwinning-ის საზოგადოება უკვე არის ამ პროცესების ლიდერი. თქვენი პროექტებით, თქვენ მოსწავლეებს ასწავლით, თუ რას ნიშნავს იყო ევროპის მოქალაქე - არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც, უვითარებთ კრიტიკულ აზროვნებას, ცნობისმოყვარეობას და თანამშრომლობის უნარს, რაც ჩვენი დემოკრატიული საზოგადოების მამოძრავებელი ღერძია.

მადლობას ვუხდით ყველა 312,000 სკოლასა და 1.2 მილიონ პედაგოგს, რომლებიც 2005 წლიდან დღემდე ჩართულები არიან eTwinning-ში: თქვენმა თავდადებამ და შეუპოვრობამ, 12 მილიონზე მეტ მოსწავლეს უდიდესი სიკეთე მოუტანა.

მოგიწოდებთ, მომავალშიც გააგრძელოთ თქვენი უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება. მოდით, შემდეგი 20 წელიც ინოვაციების, ინკლუზიურობისა და შთაგონების იგივე სულისკვეთებით აღვავსოთ. ერთად ჩვენ შევძლებთ, რომ ყველა ევროპელმა მოზარდმა თავი იგრძნოს ჩვენი საერთო ისტორიის ნაწილად და მოემზადოს წიგნის მომდევნო თავის დასაწერად.

***როქსანა მინწატუ***
*აღმასრულებელი ვიცე -პრეზიდენტი „სოციალური უფლებისა და უნარების, ხარისხიანი დასაქმებისა და მზადყოფნის“ საკითხებში*





# 1 როგორ უწყობს ხელს eTwinning მოქალაქეობრივ განათლებას?

მოქალაქეობის სწავლებისას, პედაგოგის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, დაეხმაროს ახალგაზრდებს გახდნენ საზრიანი, აქტიური მოქალაქეები, რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საკუთარი თემისა და გარემოს განვითარებაში. მართალია, სხვა ფაქტორებიც, როგორიცაა მშობლები, საზოგადოებრივი და კულტურული ზეგავლენა, თამაშობს გადამწყვეტ როლს, თუმცა, სკოლა ხშირად სწორედ ის ადგილია, სადაც ყალიბდება მოქალაქეობრივი დამოკიდებულებები და ქცევები, რაც მოსწავლეებს აღჭურავს იმ ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით, რომლებიც მათ პოლიტიკურ, სოციალურ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის სჭირდებათ. ევროპულ ანგარიშში სახელწოდებით, „ახალგაზრდა მოქალაქეების შეხედულებები და ჩართულობა ცვალებად ევროპაში"[1] ნათქვამია, რომ მოქალაქეობრივი განათლება მჭიდრო კავშირშია პოზიტიურ სამოქალაქო დამოკიდებულებებთან, როგორიცაა გადაადგილების უფლება, გარემოსდაცვითი თანამშრომლობა, მდგრადი ქცევის მეტად დაფასება, ევროკავშირსა და ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობისადმი კეთილგანწყობა.

ამ მნიშვნელოვანი მიზნის მხარდასაჭერად, ევროკომისიამ ცოტა ხნის წინ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა საბაზისო უნარების შესახებ [2], სადაც მოქალაქეობა იმ ერთ-ერთ ფუნდამენტურ უნარადაა დასახელებული, რომელიც მოსწავლეებს თანამედროვე სამყაროში წარმატების მისაღწევად ესაჭიროებათ. სამოქმედო გეგმაში ხაზგასმითაა აღნიშნული, თუ როგორ ქმნის მოქალაქეობრივი უნარები - წერა-კითხვის, არითმეტიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ციფრული კომპეტენციის პარალელურად - უწყვეტი ცხოვრებისეული განათლების საფუძველს. დოკუმენტი მოუწოდებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პრიორიტეტად დაისახონ მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარება, რათა ახალგაზრდები მოემზადონ დემოკრატიულ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისთვის და საკუთარი წვლილის შესატანად მდგრადი და მტკიცე საზოგადოების ფორმირებაში. თქვენ, პედაგოგები კი, ამ მისიის ავანგარდში იმყოფებით - რათა გააძლიეროთ მოსწავლეები არა მხოლოდ აკადემიური ცოდნით, არამედ აქციოთ ისინი ინფორმირებულ, კრიტიკულად მოაზროვნე და პასუხისმგებლობით სავსე მოქალაქეებად.

ამის გათვალისწინებით, eTwinning პედაგოგებს სთავაზობს შესაძლებლობას, რომ მოქალაქეობის სწავლება[3] საერთაშორისო თანამშრომლობით გაამდიდრონ. ერთი წამით წარმოიდგინეთ, როგორ ერთვებიან თქვენი მოსწავლეები ევროპაში მცხოვრებ თანატოლებთან შინაარსიან დიალოგში, იკვლევენ სოციალურ საკითხებს და იძლიერებენ დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებას. eTwinning-ის მეშვეობით, საკლასო ოთახი იქცევა მაკავშირებელ ხიდად, სადაც ვითარდება და ძლიერდება ევროპული იდენტობის, სოლიდარობისა და გაზიარებადი პასუხისმგებლობის კოლექტიური განცდა. პედაგოგებს, eTwinning და „ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმა" გთავაზობთ შესაძლებლობას, დაუკავშირდეთ თანამოაზრე კოლეგებს, გაუზიაროთ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკა და აღმოაჩინოთ სტრატეგიები მოქალაქეობრივი განათლების ყოველდღიურ სწავლებაში ინტეგრირებისათვის. განურჩევლად იმისა, მუშაობთ ადრეული განათლების, დაწყებითი, საშუალო თუ პროფესიული განათლების საფეხურზე, თქვენ უამრავი მხარდაჭერა და შთაგონება გელოდებათ.

eTwinning-ის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის მისი უნარი, უსაფრთხო ონლაინსივრცეში გააერთიანოს მრავალფეროვანი კულტურული პერსპექტივები. თანამშრომლობითი პროექტების მეშვეობით, მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა

1 – https://www.iea.nl/publications/study-reports/national-reports-iea-studies/iccs-2022-european-report
2 – https://europa.eu/!9TrYgg
3 – https://europa.eu/!4mK7nF

თემებს, როგორიცაა დემოკრატიული მონაწილეობა, კულტურული მემკვიდრეობა, სოციალური სამართლიანობა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ამგვარი აქტუალური თემები აღძრავს ცნობისმოყვარეობას და იწვევს კრიტიკულ რეფლექსიას, აღჭურავს რა მოსწავლეებს კულტურათშორისი კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრის სასიცოცხლო უნარებით. სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან თანამშრომლობით, მოსწავლეები უკეთესად აცნობიერებენ მსოფლიოს ურთიერთდაკავშირებულობას და საერთო გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელი კოლექტიური ძალისხმევის საჭიროებას. eTwinning-ის პროექტები არა მხოლოდ ამდიდრებს აკადემიურ პროცესს, არამედ გლობალური მოქალაქის ფორმირებასაც უწყობს ხელს. მოსწავლეებს უვითარდებათ ემპათია, სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადობა, რაც აუცილებელია მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. ევროპის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ, eTwinning გვთავაზობს უამრავ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება მოქალაქეობრივი განათლების ყოველდღიურ პრაქტიკაში ინტეგრირება. პროექტები წარმატებით:

- უვითარებს მოსწავლეებს მოქალაქეობის აღქმას თანამშრომლობითი და პრაქტიკული აქტივობების მეშვეობით,
- უწყობს ხელს დემოკრატიული ღირებულებების, ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის დამკვიდრებას,
- გვაცნობს გლობალურ დონეზე აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა უთანასწორობა, ადამიანის უფლებები და მშვიდობის შენარჩუნება,
- აუმჯობესებს კომუნიკაციისა და კულტურათშორისი დიალოგის უნარს,
- აუმჯობესებს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარს,
- ეხმარება მოსწავლეებს იმოქმედონ ინფორმირებულად საკუთარ თემსა და მის ფარგლებს გარეთ.

წიგნში გაეცნობით eTwinning-ის 24 წარმატებულ და ინოვაციურ პროექტს, ასევე პრაქტიკულ აქტივობებს, რომლებიც გაგიმარტივებთ მოქალაქეობრივი განათლების[4] ინტეგრირებას თქვენს პედაგოგიურ პრაქტიკაში. წიგნი დაგეხმარებათ მიიღოთ შთაგონება და შთააგონოთ სხვები - იმის დემონსტრირებით, თუ როგორ შეგვიძლია აღვზარდოთ აქტიური, პასუხისმგებლობიანი მოქალაქეების მომავალი თაობა. ბოლო წლებში, eTwinning-ის საზოგადოებამ სხვადასხვა თემები გამოიკვლია, მათ შორის ინკლუზია, კულტურული მემკვიდრეობა, კლიმატის ცვლილება, მედიაწიგნიერება, აქტიური მოქალაქეობა და ციფრული მოქალაქეობა. 2025 წლის თემა, მოქალაქეობრივი განათლება: აღვნიშნავთ იმას, რაც გვაერთიანებს [5], მოიცავს ყველა იმ საკითხს, რაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას პრაქტიკაში გამოიყენონ გაზიარებადი ღირებულებები და პრინციპები[6], რომლებიც ევროკავშირის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

4 – https://europa.eu/!jDpPR9
5 – https://europa.eu/!YBbHCJ
6 – https://europa.eu/!hXjC6M





# 2 პოლიტიკიდან პრაქტიკაში: მოქალაქეობრივი განათლების განხორციელება

## რეფლექსია ევროპაში მოქალაქეობრივი განათლების შესახებ

***დარია არლავი და ჰრისტინა ჰეტკოვა, ევროკომისია: განათლების, ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის გენერალური დირექტორატი.***

ევროკავშირის არაერთი სამუშაო დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოქალაქეობრივი განათლება ევროპის ამჟამინდელი გამოწვევების, მათ შორის მზარდი პოპულიზმის, ინსტიტუციური ნდობის შემცირებისა და სამართლის უზენაესობისადმი არსებული საფრთხეების მოგვარების მიმართულებით. პრობლემები, როგორიცაა დეზინფორმაცია, მანიპულირებული მედია და სიძულვილის ენა, კიდევ უფრო ართულებს არსებულ გარემოს.

სკოლაში მოქალაქეობრივი განათლების დანერგვა უკვე დიდი ხანია განათლების სფეროში ევროპული თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს. პარიზის დეკლარაცია7 (2015) და ევროსაბჭოს რეკომენდაცია8 "საერთო ღირებულებების, ინკლუზიური განათლებისა და სწავლების ევროპული განზომილების ხელშეწყობის შესახებ" (2018) მოგვიწოდებს განახლებული ფოკუსირებისკენ ევროკავშირის ღირებულებებისა და მოქალაქეობის სწავლებაზე, სადაც ხაზგასმული იქნება ევროპული კონტექსტი, მემკვიდრეობა და ევროკავშირის საქმიანობა. 2018 წლის ევროსაბჭოს რეკომენდაცია9 „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ", მოქალაქეობის კომპეტენციას განმარტავს, როგორც სამოქალაქო ცხოვრებაში პასუხისმგებლობით მონაწილეობის უნარს, რაც სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური სტრუქტურების ცოდნას ემყარება. 2021 წელს დამტკიცებული განათლების ევროპული სივრცის სტრატეგიული ჩარჩო 10(2021-2030) ხაზგასმით მიუთითებს სამოქალაქო, კულტურათშორისი და სოციალური კომპეტენციების მნიშვნელობას და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, ამ პრიორიტეტების შესაბამისად იმოქმედონ. ევროსაბჭოს ანგარიშები11 განათლებისა და გადამზადების წვლილის შესახებ საერთო ევროპული ღირებულებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის განმტკიცებაში (2023) ასევე ეხმიანება ზემოაღნიშნულს, ხაზს უსვამს რა იმ უნარების საჭიროებას, რომლებიც ხელს უწყობს აქტიურ მონაწილეობას ევროკავშირის დემოკრატიულ პროცესებში. 2025 წლის ევროკომისიის სამოქმედო გეგმა საბაზისო უნარების შესახებ12აფართოვებს საბაზისო უნარების ცნებას და მოქალაქეობრივ განათლებას წიგნიერებისა და ციფრული უნარების გვერდით ასახელებს.

მოქალაქეობრივი განათლება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ასევე განათლების ევროპული სივრცის სტრატეგიული ჩარჩოს სამუშაო ჯგუფისთვის, რომელიც განათლებისა და გადამზადების სფეროს თანასწორობის საკითხებზე მუშაობს13. ჯგუფი სწავლობს მოქალაქეობრივი განათლების მხრივ ევროპაში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს14. ქვემოთ შეგიძლიათ გაეცნოთ რამდენიმე საკვანძო გზავნილს.

- მიუხედავად გაძლიერებული აქცენტირებისა მოქალაქეობრივი

7 – https://europa.eu/!XMvnV6
8 – https://europa.eu/!njj4ct
9 – https://europa.eu/!gKdbVq
10 – https://europa.eu/!8bWkYt
11 – https://europa.eu/!btgGX6
12 – https://europa.eu/!9TrYgg
13 – https://europa.eu/!X6bmYy
14 – https://europa.eu/!4mK7nF

განათლების მნიშვნელობაზე, კვლავ დიდი უფსკრულია პოლიტიკურ მიზნებსა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას შორის.

- იმისთვის, რომ მოქალაქეობრივი განათლების აქტუალურობა არ შემცირდეს, ის უნდა ეხმიანებოდეს საზოგადოებრივ ცვლილებებსა და რთულ გლობალურ გამოწვევებს. თუმცა, ხშირად სკოლას, დროითი შეზღუდვებისა და გადატვირთული სასწავლო პროგრამების გამო, უჭირს მოქალაქეობის ფუნდამენტური ასპექტების გააზრება და დანერგვა.
- მოქალაქეობის სწავლება შესაძლოა გართულდეს, განსაკუთრებით, თუკი საწყისი განათლება და მიმდინარე პროფესიული განვითარება არასაკმარისად ხორციელდება. ასევე, პრობლემაა ეფექტური სასწავლო რესურსების სიმწირე ან მათი მოძიების სირთულე.
- აუცილებელია ტრანსფორმაციული და მოქმედებაზე ორიენტირებული პედაგოგიური მიდგომების, მათ შორის პრაქტიკული და საველე საქმიანობის გამოცდილების ხაზგასმა. დისკუსიას ინკლუზიურობის, თანასწორობის, დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ არ უნდა ჰქონდეს ორგანიზაციულ-ფორმალური სახე, არამედ უნდა უზრუნველყოფდეს სივრცეს კრიტიკული რეფლექსიისთვის.
- მოქალაქეობრივი განათლება ხშირად საკამათო, პოლიტიკურ, რელიგიურ ან ეთიკურ თემებზე დისკუსიებს მოიცავს, რაც ზოგიერთი მასწავლებლისთვის შესაძლოა არასასიამოვნო აღმოჩნდეს. საკამათო ან სენსიტიური თემების თავიდან არიდების ნაცვლად, ამგვარ საკითხებს უნდა მივუდგეთ გააზრებულად და პატივისცემით, მოსწავლეთა ასაკისთვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.
- ზოგმა მშობელმა ან მეურვემ შესაძლოა მოქალაქეობრივი განათლება ინდოქტრინაციად ან შეუფერებელ მოვლენად მიიჩნიოს. სკოლაში და ოჯახში დასწავლილ ღირებულებებს შორის განსხვავებამ, ასევე შესაძლოა რთული დინამიკა წარმოშვას პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის. სასწავლო შესაძლებლობებისა და ერთობლივი სემინარების შეთავაზება მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის, ხელს უწყობს დიალოგის ღიაობასა და ურთიერთგაგებას, რაც საბოლოოდ აძლიერებს მოქალაქეობრივი განათლების მიწოდებას.
- სკოლის ეფექტური მართვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასწავლებლებისთვის საჭირო მხარდაჭერისა და მიმართულების უზრუნველყოფის მხრივ.
- მოქალაქეობრივი განათლება უმჯობესია ინტეგრირდეს სასკოლო პრაქტიკაში, რათა შეიქმნას გარემო, სადაც დემოკრატია აქტიურად ხორციელდება. ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ერთიანი სასკოლო მიდგომის, მათ შორის სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დანერგვა.



## ოპტიმიზმის სწავლება

***ჰერკო ფონტეინი, მაასტრიხტის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი***

დღეს, ზრდასრული ადამიანებიც კი ერიდებიან ახალი ამბების ყურებას, მათი დამთრგუნველი შინაარსის გამო. გარემოს მკვლევრები, უკვე დიდი ხანია, შეშფოთებას გამოთქვამენ ჩვენი პლანეტის მდგომარეობის შესახებ, ასევე ვხედავთ, რომ მსოფლიოს არაერთ წერტილში, მათი მნიშვნელოვანი საქმიანობა იბლოკება. „ნიუ-იორკ თაიმსში“ ცოტა ხნის წინ დაიწერა, რომ სიტყვები, *როგორიცაა თანასწორობა, ადვოკატირება, სოციალური სამართლიანობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა* და მიკუთვნებულობა, ნელ-ნელა ქრება სახელისუფლებო პრიორიტეტების ჩამონათვალიდან. პარალელურად, ფსიქოლოგი ჯონათან ჰეიდტი გვაფრთხილებს, რომ მოზარდების დიდი რაოდენობა, რომლებიც სოციალურ მედიასა და ვირტუალურ ქსელებზე დამოკიდებულების გამო კავშირს წყვეტენ რეალურ სამყაროსთან, ფიქრობენ, რომ მათ სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს. წნეხის ქვეშაა ასევე ადამიანის უფლებები, დემოკრატია და სამართლის უზენაესობა. სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ, გლობალური მოქალაქეობა განიხილებოდა პასუხისმგებლობად მსოფლიოს გაუმჯობესებისკენ გზაზე; დღეს კი, მსოფლიოს ზოგიერთ წერტილში, ეს ყველაფერი ადგილობრივი ინტერესებისადმი მიმართულ საფრთხედ აღიქმება.

ამასთან, ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევები უზარმაზარია, რათა ცალკეულმა ქვეყანამ - ან თუნდაც ქვეყნების მცირე ჯგუფმა - დამოუკიდებლად შეძლოს მათი მოგვარება. საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებელია. ამავდროულად, ბევრი ფიქრობს, რომ თანამედროვე სამყაროს უდიდესი გლობალური პრობლემები განსწავლული ადამიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგია. სწორედ ამიტომ, სულ უფრო მეტი ადამიანი იმედის თვალით უყურებს მომავალ თაობას, ისევე როგორც განათლებას. პედაგოგი კი აღნიშნული იმედის ცენტრალური კომპონენტია. თანამედროვე ეპოქაში, მოსწავლეებს ესაჭიროებათ ახალი კომპეტენციების ათვისება, ხოლო ცოდნასთან ერთად, სჭირდებათ ძლიერი მორალური კომპასისა და განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებთან ეფექტური თანამშრომლობის უნარის გამომუშავება. მათ უნდა ისწავლონ ისეთი გადაწყვეტილებების მოფიქრება, რომლებიც ეკონომიკურად, სოციალურად და გარემოსდაცვითად მდგრადი იქნება. მოკლედ, მოსწავლეებს სჭირდებათ კომპეტენციები, სისტემური ინოვაციების შესაქმნელად15.

და სწორედ აქ, ცოცხლდება წიგნში აღწერილი ისტორიები. პედაგოგებმა, ევროპაში და მის ფარგლებს მიღმა განხორციელებული eTwinning-ის პროექტებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარება თავიანთ ყოველდღიურ პედაგოგიურ პრაქტიკად აქციეს.

წიგნში აღწერილი მაგალითები გვიჩვენებს, თუ როგორ შეისწავლეს მოსწავლეებმა რეალურ სამყაროში არსებული პრობლემები, ეკო-ხელოვნების, ხეების დარგვის და ნულოვანი ნარჩენების ანბანის, წარმოსახვითი მდგრადი ცივილიზაციებისა და კოსმოსში მოგზაურობისთვის SDG (მდგრადი განვითარების მიზნების) პერსონაჟების შექმნის მეშვეობით. ასევე შეიძინეს ცოდნა გენდერული თანასწორობის, ხელმისაწვდომი ქალაქების, ადგილობრივად არსებული იუნესკოს მემკვიდრეობისა და ევროკავშირის იდენტობის ფესვების შესახებ. გაეცნენ არჩევნების რაობას, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს და მოზარდებისთვის ადვოკატირების კამპანიებიც კი შეიმუშავეს. პარალელურად, ისწავლეს სხვა ადამიანებზე ზრუნვა და თანამშრომლობა, ხშირად სხვადასხვა კულტურებს შორის ხიდების აგებით. ერთ-ერთ პროექტში, საფრანგეთის, საქართველოს, საბერძნეთის, იტალიის, იორდანიის, ლატვიის, პოლონეთის, პორტუგალიის, თურქეთის და უკრაინის წარმომადგენელმა მოსწავლეებმა, ერთად მოამზადეს ვიდეო რგოლი, რომელიც ბავშვებს ასწავლის, თუ როგორ მოიქცნენ საჰაერო თავდასხმის სირენების ამოქმედების შემთხვევაში და როგორ მოამზადონ „სათადარიგო ჩანთა“ (go-bag) - თანამედროვეობის შემაშფოთებელი ატრიბუტი, თუმცა ამავდროულად, სიმტკიცისა და სოლიდარობის დასტური.

15 – https://www.mdpi.com/2071-1050/13/4/1737

ცოდნის გარდა, პროექტები მოსწავლეებს ეხმარება ინტერპერსონალური და კულტურათშორისი უნარების განვითარებაში. პროექტები ასევე სთავაზობს მოსწავლეებს ციფრულ სამყაროში პასუხისმგებლობიანი ნავიგაციისთვის საჭირო ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს აქტიური ციფრული მოქალაქეობის წახალისებას, ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებას და ხელოვნური ინტელექტის გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ციფრული უნარების გარდა, მოსწავლეები ივითარებენ თვისებებს, რომლებიც მათ ხელოვნურ ინტელექტზე დამოკიდებულ სამყაროში წარმატების მისაღწევად გამოადგებათ. ესენია: წარმოსახვის უნარი, დიალოგის წარმართვა, სამართლიანობა, მდგრადობა, ლიდერობა, ღიაობა და ეთიკური სენსიტიურობა. ამ უნარებიდან ბევრი ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოსაც ეხმიანება16. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ უახლეს ევროპულ ანგარიშში საერთაშორისო სამოქალაქო და მოქალაქეობრივი განათლების კვლევის17შესახებ აღნიშნულია, რომ მოსწავლეები, რომლებსაც უფრო მეტი სამოქალაქო ცოდნა ჰქონდათ, უფრო ხშირად ავლენდნენ მდგრად ქცევებს, იმათგან განსხვავებით, ვისაც მოქალაქეობრივი უნარების დაბალი დონე აღენიშნებოდათ.

წინამდებარე გამოცემა დროული, იმედისმომცემი და პრაქტიკული სახელმძღვანელოა, რამეთუ გვიჩვენებს, თუ როგორ ეხმარებიან თავდადებული მასწავლებლები მოსწავლეებს ცოდნის, ღირებულებებისა და უნარების ათვისებაში, რაც მათ ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი სამყაროს აქტიურ და პასუხისმგებლობიან წევრებად ფორმირებაში გამოადგებათ. თუკი ფიქრობთ, რომ სამყარო უსაფრთხო ადგილი უნდა იყოს განსხვავებული ადამიანებისთვის, ასევე დაეხმაროს ბავშვებს საზრიან, აქტიურ და პასუხისმგებლობით სავსე მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, მაშინ ეს წიგნი ნამდვილად იქცევა თქვენი შთაგონების წყაროდ.

16 – https://www.coe.int/en/web/reference-framework-of-competences-for-democratic-culture

17 – https://www.iea.nl/publications/study-reports/national-reports-iea-studies/iccs-2022-european-report

# 3 eTwinning-ის პროექტები

მოცემულ თავში, გთავაზობთ eTwinning-ის პროექტებს, რომლებიც ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ განხორციელდა. პროექტების საკვანძო მიზნებისა და აქტივობების მიმოხილვის გარდა, ასევე გაეცნობით პროექტებში მონაწილე მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომლებიც საკუთარ შეხედულებებსა და ემოციებს გვიზიარებენ eTwinning-ში მიღებული გამოცდილების შესახებ.

## Schoolnest: ადგილი კეთილდღეობისთვის #eTwinnovation

**ქვეყნები:** ჩეხეთი, ესტონეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, ესპანეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** სკოლამდელი განათლება და ზრუნვა

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/schoolnest-place-wellbeing-etwinnovation

**რეზულტატი:** https://shorturl.at/ULxKG

**პროექტის შინაარსი:**

პროექტში მოქალაქეობის თემა, წელიწადის დროების, ბუნებისა და კულტურული ტრადიციების პერსპექტივიდან იქნა დანახული. მოსწავლეებმა კონტაქტი გარემოსთან და ერთმანეთთან, გარემოსდაცვითი საკითხების შესწავლის, ადგილობრივი წეს-ჩვეულებების გაზიარებისა და სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოძიების გზით დაამყარეს. აქტივობების ფოკუსს წარმოადგენდა მდგრადობის, მემკვიდრეობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ასპექტები. ამ ყველაფერმა მოსწავლეებს უბიძგა, დაფიქრებულიყვნენ საკუთარ როლზე, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ კონტექსტში.

**როგორ განხორციელდა:**

**სახალისო კვლევა**

პროექტმა ყოველდღიური გამოცდილება, მაგალითად, წელიწადის დროების ცვლილებაზე დაკვირვება ან ტრადიციების საზეიმოდ აღნიშვნა, შემოქმედებით ამოცანებს დაუკავშირა, რითაც სასწავლო წელი აღმოჩენების თავგადასავლად აქცია. პრაქტიკული გამოწვევებისა და ექსპერიმენტების საშუალებით, მოსწავლეებმა მოამზადეს დასკვნები, გაუზიარეს თავიანთი ისტორიები და წეს-ჩვეულებები სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებს, შეისწავლეს სხვადასხვა საკითხები, როგორიცაა ნარჩენების შემცირება და ბიომრავალფეროვნება.

**აქტიური როლები**

მოსწავლეებმა არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ მკვლევრების, მხატვრებისა და კომუნიკატორების როლებიც მოირგეს. ახლომდებარე ტყეში სეირნობისას, ეკოთემატური ნამუშევრების ესკიზებისა თუ ამინდის პროგნოზის მომზადებისას, მოსწავლეებმა საკუთარი ინიციატივით შეისწავლეს და გაიაზრეს გარშემო არსებული სამყარო. სხვა ქვეყნების თანატოლებთან ერთობლივმა მუშაობამ, პროცესს ახალი პერსპექტივები შემატა და ცნობისმოყვარეობა გააძლიერა.

**შემოქმედებითი თვითგამოხატვა და დიალოგი**

თეატრალური დადგმების, ციფრული ამბის თხრობისა და ვიზუალური ხელოვნების მეშვეობით, მოსწავლეებმა მიღებული ცოდნა და საკუთარი ხელით შექმნილი მასალები ერთმანეთს გაუზიარეს. უწყვეტი უკუკავშირის მიღება თანაკლასელებისა

და პარტნიორი სკოლებისგან, მათ საშუალებას აძლევდა, დაეხვეწათ საკუთარი იდეები, ეფიქრათ კრიტიკულად და თავი უფრო მნიშვნელოვანი მოვლენის ნაწილად ეგრძნოთ, რამაც მოსწავლეებს დაანახა, თუ რამხელა კავშირი არსებობს ცალკეული ინდივიდის ქმედებებსა და გაზიარებად პასუხისმგებლობას შორის.

*პროექტით ჩემმა მოსწავლეებმა შეისწავლეს ადგილობრივი გარემო, ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი დასკვნები და გაიღრმავეს ცოდნა კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესახებ ისეთ სახეობებზე, როგორიცაა მერცხლები და ფუტკრები. აქტივობების შესრულებისას, მოსწავლეები ავლენდნენ აქტიური მოქალაქეობის უნარებსა და ბუნების შენარჩუნებისადმი პასუხისმგებლობას.*

*თიხისგან მერცხლებს ბუდე დავუმზადე, რითაც ვაჩვენე ბავშვებს, რომ მერცხლებს ჩვენი დახმარება სჭირდებათ. გარდა ამისა, მეგობრებთან ერთად მოვიფიქრე თამაში ფუტკრების შესახებ, რომელიც ბავშვებს ასწავლის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მწერია ფუტკარი. ჩვენ ერთად ვისწავლეთ ბუნებაზე ზრუნვა და ის, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი სამყარო.*

## მჯერა, რომ მე შემიძლია ...

**ქვეყნები:** კვიპროსი, საბერძნეთი, პოლონეთი, სერბეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** სკოლამდელი განათლება და ზრუნვა

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/i-believe-i-can

**რეზულტატი:** https://shorturl.at/gZJVb

**პროექტის შინაარსი:** პროექტში გენდერული და სოციალური უთანასწორობა განხილული იქნა რვა ქალის ისტორიაზე დაყრდნობით, რომლებმაც მოახერხეს და დაამსხვრიეს სტერეოტიპები. რეალური მაგალითების მეშვეობით, მოსწავლეებმა შეისწავლეს სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და წარმომადგენლობის საკითხები. აღმოაჩინეს კავშირი პირად ამბიციებსა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს სტერეოტიპები და განივითარეს სიღრმისეული ცოდნა თანასწორობის შესახებ.

**როგორ განხორციელდა:**

**როლური სწავლება**

შთამაგონებელი ქალების მოღვაწეობის შესწავლისა და კომპლექსური სოციალური პრობლემების ერთობლივად გაანალიზების პროცესში, მოსწავლეებმა მკვლევრების, დიზაინერებისა და აქტივისტების როლები მოირგეს. გამართეს დისკუსიები, ჩაატარეს ინტერვიუები და ერთობლივად შეისწავლეს მოსწავლეთა უფლებები და გენდერული საკითხები.

**შემოქმედებითი თვითგამოხატვა და გუნდური მუშაობა**

სკოლის გაზეთის მომზადებით, ცნობიერების ამაღლების კამპანიის შემუშავებითა და გუნდური მუშაობით, მოსწავლეებმა შეძლეს ცოდნის პრაქტიკაში გადატანა, ერთობლივი ნაშრომები კი, დიალოგისა და პრეზენტაციების საგნად აქციეს, რამაც ხელი შეუწყო ემპათიის, კომუნიკაციისა და ნებისყოფის უნარის გამომუშავებას.



**კრიტიკული ჩართულობა**

პროექტმა მოსწავლეებს საშუალება მისცა გაეცნობიერებინათ სოციალური ნორმები და დაფიქრებულიყვნენ, თუ როგორ საზოგადოებაში სურთ ცხოვრება. შესაბამისი რჩევებისა და მხარდაჭერის ფონზე, მოსწავლეები გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, უპირისპირდებოდნენ სტერეოტიპებს და მონაწილეობას იღებდნენ ინკლუზიური ნარატივის შექმნაში, რითაც საფუძველი ჩაეყარა აქტიურ მოქალაქეობას და სოციალურ ცნობიერებას.

*ანტიდისკრიმინაციული განათლება სასწავლო პროგრამის ცენტრალურ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, რადგან ხშირად მოსწავლეები ოჯახებში მიკერძოებულ შეხედულებებს იყალიბებენ. ცრუ რწმენების წინააღმდეგ ბრძოლა, უფრო სამართლიანი სამყაროს შექმნის გასაღებია, სადაც დაცული იქნება თითოეული ადამიანის ღირსება, სამართლიანობისა და თანასწორობის უფლება.*

*ყველა ადამიანს, სქესის, რასისა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მიუხედავად, შეუძლია მიაღწიოს წარმატებას, თუკი საკუთარი თავის რწმენა ექნება.*

## ვირჩევთ უკეთეს, უფრო ლამაზ, მდგრად და ერთიან მომავალს #etw4future

**ქვეყნები:** საბერძნეთი, ისლანდია, ლიტვა, პოლონეთი, სერბეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** სკოლამდელი განათლება და ზრუნვა

**პროექტის ბმული:**https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/we-have-voice-better-future-beautiful-sustainable-together-etw4future

**რეზულტატი:** https://shorturl.at/IZ2MQ

**პროექტის შინაარსი:** დემოკრატიის, ინკლუზიურობისა და მდგრადობის ღირებულებებზე დაფუძნებულმა პროექტმა, მოსწავლეებს მოქალაქის უფლებებსა და მოვალეობებზე დაფიქრებისკენ მოუწოდა. „ახალი ევროპული ბაუჰაუსისა“ და eTwinning-ის თემის „ჩვენი მომავალი, ლამაზი, მდგრადი, ერთიანი“ გამოყენებით, მოსწავლეებმა, პრაქტიკული და თანამშრომლობითი აქტივობებით შეიძინეს ცოდნა ისეთი საზოგადოებრივი საკითხების შესახებ, როგორიცაა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, მიგრაცია და ჩართულობა.

**როგორ განხორციელდა:**

**დემოკრატიული პრაქტიკა**

მოსწავლეებმა, სასკოლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საკუთარ ხელში აიღეს ინიციატივა და შეიმუშავეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ქარტია, შექმნეს საბჭოები და მოამზადეს ადვოკატირებისთვის საჭირო მასალები. აღნიშნული დემოკრატიული პროცესების დახმარებით, მოსწავლეები აჟღერებდნენ იდეებს, აწარმოებდნენ თანატოლებთან მოლაპარაკებებს და მკაფიოდ ხედავდნენ, თუ როგორ შეუძლია მათ ხმას გავლენა მოახდინოს რეალურ გადაწყვეტილებებზე.

**საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაო**

საზოგადოებაზე ორიენტირებული ღონისძიებებით, როგორიცაა ხეების დარგვა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში მონაწილეობა, მოსწავლეები დისკუსიიდან მოქმედებაზე გადავიდნენ.

აქტივობებმა აკადემიური პროცესი არა მხოლოდ რეალურ სამყაროს დაუკავშირა, არამედ მოსწავლეებში მიკუთვნებულობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა გააძლიერა.

**საერთო რეფლექსია**

ქვეყნებს შორის ჯგუფურმა მუშაობამ და აზრთა მიმოცვლამ, წაახალისა ღია დიალოგი და კრიტიკული აზროვნება. მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა გაენალიზებინათ საკუთარი გამოცდილება და ღირებულებები, ჩამოეყალიბებინათ მომავლის შესახებ გაზიარებადი ხედვა და ამავდროულად, ემუშავათ ერთად, განსხვავებების მიუხედავად, რათა ერთობლივად მოეფიქრებინათ კომპლექსური გამოწვევებისადმი გააზრებული და კრეატიული გადაწყვეტები.

*ყოველთვის მჯეროდა, რომ დისკუსია ადამიანის უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა მოსწავლეების აქტიური ჩართულობის ხილვამ საბჭოების მუშაობაში, კამპანიებსა და პრაქტიკულ აქტივობებში, კვლავ დამარწმუნა, თუ როგორ გაუმჯობესდა მათი უნარები. მოქალაქეობრივი განათლება ყველაზე ეფექტურია, როდესაც ის ქმედებაზე დაფუძნებული და მოსწავლეზე ორიენტირებულია.*

*ჩვენი მოსაზრებების გაჟღერებით, სხვების დახმარებითა და თემის წინაშე პასუხისმგებლობის აღებით, ნამდვილად შესაძლებელია რეალური ცვლილებების მოხდენა. თითოეული ადამიანის ხმა მნიშვნელოვანია.*

## STEM-ის მარჯვე მთხრობელები და STEAM-ის ამოცანების კრეატიული ამომხსნელები

**ქვეყნები:** საბერძნეთი, რუმინეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** სკოლამდელი განათლება და ზრუნვა

**პროექტის ბმული:**https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/artful-stem-tellers-creative-steam-solvers

**რეზულტატი:**https://shorturl.at/CQVga

**პროექტის შინაარსი:** მოქალაქეობა, პროექტმა მოზარდებს ინკლუზიურობისა და მდგრადობის საკითხების განხილვის ფონზე გააცნო. ურბანული სივრცეების გადააზრების შემდეგ, მოსწავლეებმა გაანალიზეს, თუ როგორ შეიძლება იქცეს ქალაქი ყველა ადამიანისთვის კომფორტულ და მყუდრო გარემოდ. კრეატიულობის, ტექნოლოგიებისა და გუნდური მუშაობის გამოყენებით, მოსწავლეებმა აქტუალური სოციალური პრობლემები ასაკის შესაბამისი, პრაქტიკული ამოცანების გამოყენებით გადაჭრეს. პროცესის მიმდინარეობისას, გაძლიერდა სამოქალაქო ღირებულებები, როგორიცაა ემპათია და სიცოცხლის პატივისცემა.

**როგორ განხორციელდა:**

**მიზანზე ორიენტირებული დაგეგმარება**

მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ურბანული პროექტირების ჩელენჯში, სადაც გამოყენებული იყო ამბის თხრობის, კოდირებისა და რობოტიკის მეთოდები. მოსწავლეებმა შექმნეს ინკლუზიური ქალაქის მოდელი და მოამზადეს ციფრული ტექსტი ხელმისაწვდომი, მდგრადი საზოგადოების შესახებ საკუთარი ხედვების აღსაწერად. აღნიშნული დავალებით, მოსწავლეებმა დაინახეს, თუ როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ტექნოლოგიები სოციალური პრობლემების ერთიანი ძალებით გადასაჭრელად.



**ერთობლივი კვლევა**

დისკუსიების, ჯგუფური მუშაობისა და თანატოლებისგან უკუკავშირის მიღების გზით, მონაწილეებმა შეისწავლეს, თუ რას ნიშნავს ცხოვრება მრავალფეროვან საზოგადოებაში. მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი პერსპექტივები, ერთობლივად მოიფიქრეს გამოსავლები, ისწავლეს მოსმენა და საზრიანი რეაგირება, იმავდროულად, გაიძლიერეს რწმენა, რომ ნამდვილად გააჩნიათ გარემოს ფორმირების უნარი.

**შემოქმედებითი რეფლექსია**

პროტოტიპირების, როლური თამაშებისა და მხატვრული ექსპრესიის დახმარებით, მოსწავლეებმა შეძლეს საზოგადოებრივი საკითხების საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება. ამბების შეთხზვისა თუ მაკეტების შექმნისას, შესაძლებლობა ჰქონდათ რეფლექსია მოეხდინათ სხვა ადამიანების საჭიროებებზე, ეფიქრათ კრიტიკულად და გამოეხატათ დასაბუთებული მოსაზრებები, იმის გაცნობიერებით, რომ აქტიური მოქალაქეობა მცირე, მნიშვნელოვანი ნაბიჯებით იწყება.

*ინკლუზიურობისა და მდგრადობის შესახებ მინაარსიანი, ინოვაციური იდეების მოფიქრება მცირეწლოვან მოსწავლეებსაც შეუძლიათ. როგორც დავაკვირდი, თანამშრომლობითი და პრაქტიკული პროექტები, ხელს უწყობს სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მოქალაქეობრივი განათლების მისაწოდებლად, პროექტებში ტექნოლოგიებისა და კრეატიულობის გამოყენება, ნამდვილად არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო.*

*ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა საკუთარი ქალაქის მიმართ. ამიტომ, ჩემთვის ძალიან სახალისო იყო ყველასთვის კომფორტული ქალაქის პროექტზე მუშაობა.*

## მე მაქვს უფლებები

**ქვეყნები:** საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** დაწყებითი კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/i-have-rights

**რეზულტატი:** https://shorturl.at/mQz3N

**პროექტის შინაარსი:** პროექტის დახმარებით, მოსწავლეები გაეცნენ ადამიანის უფლებებთან, მდგრადობასა და საზოგადოების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასა და მდგრადი განვითარების მიზნებზე დაყრდნობით შემუშავებულმა პროექტმა, მოსწავლეები საკუთარ, ანუ გლობალური მოქალაქის, როლზე დააფიქრა. პრაქტიკული სწავლის გამოყენებით, მოსწავლეებმა გააცნობიერეს, თუ როგორ შეუძლია ინდივიდუალურ და კოლექტიურ არჩევანს, უზრუნველყოს უფრო სამართლიანი და მდგრადი მომავლის ფორმირება.

**როგორ განხორციელდა:**

**აქტიური კვლევა**

მოსწავლეებმა სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები, დისკუსიის, კვლევებისა და კრიტიკული ანალიზის ფონზე შეისწავლეს. განიხილეს რეალური შემთხვევები, გლობალური გამოწვევები და აღნიშნული საკითხები საკუთარ ცხოვრებასა და თემს დაუკავშირეს.

**შემოქმედებითი კამპანია**

პოსტერებით, ვიდეო რგოლებითა და პრეზენტაციებით მომზადებული კამპანიებით, მოსწავლეებმა აამაღლეს თანატოლების ცნობიერება და ადგილობრივად ღონისძიებები გამართეს. აქტივობებში მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, გაეძლიერებინათ თავდაჯერებულობა და ადამიანები მოქმედებისკენ წაეხალისებინათ.

**სწავლა კეთებით**

საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის, გუნდური მუშაობისა და თანატოლებთან დიალოგის მეშვეობით, მოსწავლეებმა საკუთარი ღირებულებები პრაქტიკულ ქმედებებში ასახეს. მოახდინეს რეფლექსია თავიანთ პასუხისმგებლობებზე, ითანამშრომლეს სხვა მოსწავლეებთან და შეიძინეს პრაქტიკული გამოცდილება ცვლილებების ადვოკატირების პროცესში - განივითარეს როგორც ემპათიის, ასევე სამოქალაქო დანიშნულების უფრო ძლიერი განცდა.

*რეალური სამყაროს პრობლემებში აქტიური ჩართულობა, მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ემპათიის განცდას აძლიერებს. პრაქტიკული სწავლება მოქალაქეობრივი განათლების ეფექტურად მიწოდების საშუალებაა, რადგან სწორედ ასეთ პროცესში უმჯობესდება კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა და ღრმავდება სოციალური ცნობიერება.*

*აქტიური მოქალაქეობა ნიშნავს გაუმჯობესო სამყარო შენი საუბრითა და ქმედებით. მცირედი ძალისხმევითაც კი, მათ შორის ცნობიერების ამაღლებით თუ ჩვენი თემის დახმარებით, უზარმაზარი ცვლილებების მოხდენა შეგვიძლია.*

## მოდით, ვითამაშოთ ევროკავშირთან ერთად

**ქვეყნები:** ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, პორტუგალია

**საგანმანათლებლო საფეხური:** დაწყებითი კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/lets-play-eu

**რეზულტატი:** https://shorturl.at/gjQ6Y

**პროექტის შინაარსი:** პროექტში ევროპის მოქალაქეობის თემა, სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებს შორის შემოქმედებითი და ტექნოლოგიებით გამდიდრებული თანამშრომლობის გზით იქნა განხილული. ციფრული წიგნიერებისა და კულტურათშორისი გაცვლების კომბინირებით, მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ უკეთ გასცნობოდნენ ევროპის კულტურულ მრავალფეროვნებას და საკუთარ როლს აღნიშნულ პროცესში. აქტივობების ფოკუსს წარმოადგენდა კომუნიკაციის, კრეატიულობისა და პასუხისმგებლობიანი ციფრული მონაწილეობის, ამავდროულად, იდენტობისა და მიკუთვნებულობის გაზიარებადი განცდის განვითარება.

**როგორ განხორციელდა:**

**ინტერაქტიური სწავლება**

მოსწავლეები ვირტუალურ დიალოგებში, ხელოვნური ინტელექტით წარმოებულ ინტერვიუებსა და ინტერაქტიური თხრობის აქტივობებში, შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით ჩაერთნენ: AR (გაძლიერებული რეალობა), VR (ვირტუალური რეალობა) და AI (ხელოვნური ინტელექტი). თითოეული აქტივობა, იქნებოდა ეს ევროკავშირის შესახებ სამაგიდო თამაშების მოფიქრება თუ ევროპის თემატიკაზე სიმღერების შექმნა, მოსწავლეებს თამაშის, დიალოგისა და ექსპერიმენტების გზით სწავლისკენ მოუწოდებდა.



**სხვადასხვა კულტურის კვლევა**

ჯგუფური კვლევებისა და პრეზენტაციების მეშვეობით, მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი რეგიონები და შეიტყვეს სხვების შესახებ. კულინარიული რეცეპტებისა და ილუსტრაციების გაზიარება, ასევე ამბების თხრობა, აღმოჩნდა ძალზედ სახალისო პრაქტიკული გზა ევროპის მრავალფეროვნების აღსაქმელად და ამავდროულად, ღიაობისა და ცნობისმოყვარეობის გასაძლიერებლად.

**ციფრული მოქალაქეობა რეალურ ცხოვრებაში**

ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, მოსწავლეებმა გაანალიზეს, თუ როგორ ცვლის ტექნოლოგიები მათ ცხოვრებას და როგორ უნდა შევძლოთ ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენება. მოსწავლეებმა ონლაინრეჟიმში ითანამშრომლეს, ერთად შექმნეს ციფრული კონტენტი და გაიაზრეს ციფრულ სივრცეში პატივისცემით კომუნიკაციის მნიშვნელობა, რითაც თანამედროვე მოქალაქისთვის საჭირო უნარები განივითარეს.

*ერთ-ერთ ინოვაციურ და საინტერესო მოვლენად ვთვლი მომენტს, როდესაც მოსწავლეებმა Fobizz-ის ხელოვნური ინტელექტის პერსონაჟებს (მაგალითად, აინშტაინი, გრეტა თუნბერგი, ელვისი და სუპერმენი) ჰკითხეს, თუ როგორ შეეძლოთ მოსწავლეებს, მცირე ასაკის მიუხედავად, მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა.*

*პროექტები, რომელშიც სხვა ქვეყნებში მცხოვრები მოსწავლეებიც მონაწილეობენ, სხვადასხვა კულტურის გაცნობაში გვეხმარება. მცირეწლოვან მოქალაქეებს ნამდვილად შეგვიძლია მონაწილეობა მივიდოთ ჩვენი თემის ცხოვრებაში, რათა ჩვენი იდეებით, უკეთესობისკენ შევცვალოთ სამყარო.*

## 3, 2, 1...დავიწყეთ! SDG-ის გმირები ჩვენს დასახმარებლად!

**ქვეყნები:** საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** დაწყებითი კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/321blast-sdg-heroes-are-here-help

**რეზულტატი:** https://shorturl.at/iH1jL

**პროექტის შინაარსი:** კოსმოსურ თემატიკაზე შექმნილი წარმოსახვითი თავგადასავლის მეშვეობით, პროექტმა მოსწავლეებს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) სახალისო და შინაარსიანი ფორმით გააცნო. ოთხ თემატურ - Eco, Socio, Enviro და მე-17 გალაქტიკაში მოგზაურობისას, მოსწავლეებმა შეისწავლეს გლობალური გამოწვევები, მათ შორის კლიმატის ცვლილება, თანასწორობა და ადამიანის უფლებები. პარალელურად, განივითარეს პასუხისმგებლობისა და ემპათიის გრძნობა, ამასთანავე გაიაზრეს, რომ მცირეწლოვან მოსწავლეებსაც შეუძლიათ ცვლილებების მოხდენა.

**როგორ განხორციელდა:**

**სწავლა თამაშით**

მოსწავლეებმა მოირგეს მდგრადი განვითარების მიზნების გმირების როლები და ჩაერთვნენ კრეატიული მისიების შესრულებაში, რაც მოიცავდა ამბების თხრობას, ნაკეთობების დამზადებასა და თამაშებს. როლური თამაშებითა და წარმოსახვითი ინჟინერიით, როგორიცაა კოსმოსური ხომალდის აგება ან პერსონაჟების გამოგონება, მოსწავლეებმა შეძლეს რთული იდეების გასაგები და მიმზიდველი ფორმით გადმოცემა.

**პრაქტიკული სამუშაო**
სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებთან თანამშრომლობით, მოსწავლეებმა ერთობლივად შექმნეს ციფრული სამაგიდო თამაშები, დაწერეს ერთობლივი სიმღერა ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ელემენტების გამოყენებით, მოაწყვეს საკუთარი ნამუშევრების ვირტუალური გალერეა. ამ ერთობლივმა საქმიანობამ, მდგრადი განვითარების მიზნებს ხორცი შეასხა, მოსწავლეებს კი წარმატებისა და საერთო მიზნის მიღწევის განცდა გაუძლიერა.

**დაჯილდოება და მოტივაცია**
თავგადასავლის სულისკვეთების შესანარჩუნებლად, მოსწავლეებს თითოეული მისიის დასრულების შემდეგ, ენიჭებოდათ სახალისო ჯილდო, მაგალითად, მეგობრის გვერდით დაჯდომის ნებართვა, თემატური კოსტიუმირებული წვეულების გამართვა, და ა.შ. ამგვარი ხალისიანი მიდგომით, ხელი შეეწყო ენთუზიაზმის შენარჩუნებას, გუნდური მუშაობის, კრეატიულობის, მდგრადი განვითარებისა და მოქალაქეობისადმი გულწრფელი ინტერესის განვითარებას.

*მოქალაქეობა მხოლოდ ტერმინი არ არის, არამედ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა, რომელიც მოითხოვს აქტიურ ჩართულობას სოციალურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ პროცესებში. ამიტომ, მოქალაქეებმა ერთად უნდა იმუშაონ მდგრადი განვითარების მისაღწევად.*

*აქტიური მოქალაქეობა უმნიშვნელოვანესია ჩვენი სამყაროს დასაცავად. ჩვენ შევძლებთ ვიყოთ აქტიური მოქალაქეები, თუკი დავეხმარებით სხვა ადამიანებს და გავაუმჯობესებთ მათ კეთილდღეობას. თითოეული მცირე ნაბიჯი, მდგრადი მომავლის საწინდარია.*

## დღევანდელი ბავშვები, მომავლის არქიტექტორები არიან

**ქვეყნები:** საბერძნეთი, იტალია, იორდანია, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, სლოვაკეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** დაწყებითი კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/todays-children-are-architects-future

**რეზულტატი:** https://shorturl.at/13P8L

**პროექტის შინაარსი:** პროექტის თემად შეირჩა აქტიური მოქალაქეობა. მოსწავლეებმა შეისწავლეს სოციალური საკითხები და კომუნიკაცია დაამყარეს სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან. დიალოგის, კვლევისა და შემოქმედებითი გამოხატვის გზით, მოსწავლეებმა განიხილეს სხვადასხვა თემები, როგორიცაა თანასწორობა, მდგრადობა და ადამიანის უფლებები. პროექტმა მოსწავლეებს განუვითარა სამოქალაქო ღირებულებები, მათ შორის ემპათია, პასუხისმგებლობა და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, ამავდროულად, გაუღრმავა საკუთარი როლის აღქმა უფრო სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბების მიმართულებით.

**როგორ განხორციელდა:**

**ერთობლივი კვლევა**

საერთაშორისო გუნდებში, მოსწავლეებმა შეისწავლეს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული გლობალური გამოწვევები. მოამზადეს კითხვარები, ჩაატარეს ჯგუფური დისკუსიები და შეიმუშავეს კამპანიები დასკვნების გასაზიარებლად, რითაც საკლასო ცხოვრება რეალურ სამყაროს დაუკავშირეს.



**შემოქმედებითი კომუნიკაცია**

ციფრული ამბის თხრობა, მულტიმედიური პრეზენტაციები და ვირტუალური დებატები, მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისა და ცვლილებების ადვოკატირების საშუალებას აძლევდა. აღნიშნულმა ინსტრუმენტებმა ხელი შეუწყო როგორც კრიტიკული აზროვნების, ასევე შემოქმედებითობის განვითარებას, დაეხმარა რა მოსწავლეებს საკუთარი ღირებულებების გააზრებასა და სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან ეფექტურ კომუნიკაციაში.

**მონაწილეობა და რეფლექსია**

უწყვეტი დიალოგითა და თანატოლებთან კომუნიკაციით, მოსწავლეებმა ისწავლეს უკეთესად მოსმენა, კითხვების დასმა და თანამშრომლობა. პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მიღებულ შედეგებში აქტიური ჩართულობით, მოსწავლეებმა კავშირი დაამყარეს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ თანატოლებთან და შეიტყვეს, თუ როგორ შეიძლება გაზიარებადი ღირებულებების სხვადასხვა ფორმით გამოხატვა, რამაც, საბოლოო ჯამში, მათი, როგორც ინფორმირებული, აქტიური მოქალაქეების იდენტობა გააძლიერა.

*სოციალური პრობლემების შესასწავლად, გამოვიყენეთ ერთობლივი ციფრული ამბის თხრობა, რამაც ძალიან კარგად განავითარა მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნება და ციფრული წიგნიერება. დებატების, როლური თამაშებისა და ვირტუალური სიმულაციების მეშვეობით, მოსწავლეებმა აქტიურად ივარჯიშეს დემოკრატიულ მონაწილეობასა და პასუხისმგებლობიან მოქალაქეობაში.*

*მოქალაქეობა არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების ცოდნასაც ნიშნავს. ახლა, მე უკვე ვიცი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვა ადამიანებთან დიალოგი და თანამშრომლობა.*

## პატარა პრინცი STEAM#eTwinnovation

**ქვეყნები:** საბერძნეთი, ესპანეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** დაწყებითი კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/little-prince-steametwinnovation

**რეზულტატი:** https://shorturl.at/GoBMJ

**პროექტის შინაარსი:** ამბის თხრობისა და სამეცნიერო აზროვნების წახალისების მიზნით, პროექტში მოსწავლეებს დაევალათ ცნობილი ზღაპრების გადააზრება, მაგიური მეთოდების გამოყენების გარეშე. მოსწავლეებმა შეისწავლეს, თუ რამდენად შესაძლებელი იყო, რომ რეალური ცოდნა - მდგრადი განვითარებით დაწყებული და ინჟინერიით დასრულებული, გამოყენებულიყო ზღაპრებში აღწერილი პრობლემების გადასაჭრელად. მეცნიერების, ტექნოლოგიების, ხელოვნებისა და გლობალური საკითხების კომბინირებით, მოსწავლეებმა მოიფიქრეს კრეატიული გადაწყვეტები, რამაც განუვითარა ემპათიის, ინოვაციების და პასუხისმგებლობის გაზიარებადი გრძნობა ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში.

**როგორ განხორციელდა:**

**ამბის შემოქმედებითი თხრობა**

ერთობლივი აქტივობის ფარგლებში, მოსწავლეებმა ტრადიციული ზღაპრები მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივიდან გადაწერეს. ციფრული პლატფორმების, მათ შორის StoryJumper და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებით, მოსწავლეებმა

მოიფიქრეს ამბავი, სადაც ფენტეზი სამეცნიერო მსჯელობით ჩაანაცვლეს და გამოიგონეს ახალი პლანეტები, ცივილიზაციები და ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახადეს თავდაპირველ ვერსიაში აღწერილი გამოწვევების მოგვარება.

**STEAM მოქმედებაში**

მოდელირების, წარმოსახვითი არქიტექტურისა და პრაქტიკული ექსპერიმენტირების გზით, მოსწავლეებმა შეიტყვეს, თუ როგორ შეუძლიათ საკუთარი იდეების ხორცშესხმა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მეშვეობით. მოსწავლეებმა, STEM-ის ცოდნის შემოქმედებითი და აქტიური გამოყენებით, შექმნეს პლანეტები, დასახლებების რუკები და პრაქტიკაში დატესტეს მდგრადი გადაწყვეტები.

**დიალოგი და რეფლექსია**

საერთაშორისო გუნდებში მუშაობისას, მოსწავლეები ცვლიდნენ იდეებს, უზიარებდნენ ერთმანეთს კულტურულ პერსპექტივებს და მსჯელობდნენ, თუ რომელი ღირებულებები ასახეს თავიანთ გამოგონილ ისტორიებში. ამგვარი საუბრების დახმარებით, უფრო მეტად გაღრმავდა მოსწავლეების ცოდნა გლობალური მოქალაქეობის, ციფრული თანამშრომლობისა და თხრობის ტრანსფორმაციული მნიშვნელობის შესახებ.

*ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება მოქალაქეობრივი განათლების მისაწოდებლად არის პრაქტიკული თანამშრომლობა სხვადასხვა კულტურებს შორის. საერთაშორისო პარტნიორებთან მუშაობამ ხელი შეუწყო ემპათიის, გუნდური მუშაობისა და გლობალური ცნობიერების ამაღლებას, რაც დასტურია იმისა, რომ პრაქტიკული პროექტები მოქალაქეობრივი განათლების ეფექტურად სწავლების საფუძველია.*

*მცირე ქმედებებსაც კი შეუძლიათ დიდი ცვლილებების მოხდენა. ერთად მუშაობა, იდეების გაზიარება და სხვებისადმი პატივისცემა, დაგვეხმარება გადავჭრათ ჩვენს საზოგადოებებსა და მსოფლიოში არსებული აქტუალური პრობლემები.*

## ნათელი B.R.I.G.H.T. მომავლის შექმნა

**ქვეყნები:** იტალია, ესპანეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 6-9 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/building-bright-future

**რეზულტატი:** https://shorturl.at/r3kKk

**პროექტის შინაარსი:** პროექტმა მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცა საკუთარ ხელში აეღოთ თემზე ზრუნვა, რაშიც მოიაზრებოდა მიტოვებული სივრცეების მოძიება და მდგრად, სასიამოვნო გარემოდ გადაქცევა. პრაქტიკული აქტივობებისა და თანამშრომლობითი კვლევის საშუალებით, მოსწავლეებმა შეისწავლეს სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევები, ადგილობრივი პრობლემები კი, გლობალური მოქალაქეობის თემებს დაუკავშირეს. ეს გამოცდილება მოსწავლეებს სამოქალაქო ჩართულობის, გუნდური მუშაობისა და საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის ღირებულების გაცნობიერებაში დაეხმარა.

**როგორ განხორციელდა:**

**იდეიდან მოქმედებაზე**

მოსწავლეებმა აქტივობა ადგილობრივი პრობლემების შესწავლითა და მცირე ჯგუფებში მათი მოგვარების გზების ძიებით დაიწყეს. ჩაატარეს საველე დაკვირვებები, შეაგროვეს უკუკავშირი და შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებები,



მაგალითად საზოგადოებრივი სივრცეების გამწვანება ან ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალური ინკლუზიის ხელშესაწყობად. პროექტის მონაწილეების საქმიანობა, რომელშიც აისახა როგორც სოციალური, ასევე გარემოსდაცვითი პრიორიტეტები, ემყარებოდა სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფას.

**საზღვრისმიღმა თანამშრომლობა**

სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ თანატოლებთან მუშაობისას, მოსწავლეები, ვირტუალური შეხვედრების დროს, ცვლიდნენ იდეებს, ერთმანეთს ადარებდნენ გამოწვევებს და საუბრობდნენ თავიანთ გეგმებზე. საერთაშორისო დიალოგმა გააფართოვა მოსწავლეების თვალსაწიერი, გააძლიერა ურთიერთპატივისცემა და დაეხმარა ადგილობრივი ღონისძიებების უფრო ფართო, კოლექტიურ პასუხისმგებლობად აღქმაში.

**თემთან ურთიერთობა**

ადგილობრივ მოსახლეობასთან, ოჯახებთან და სკოლის დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობა, მოსწავლეებმა ცნობიერების ამაღლების კამპანიების ორგანიზების, დასუფთავების ღონისძიების ერთობლივი ხელმძღვანელობისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის პროექტების წარდგენის გზით დაამყარეს. რეალურ სამყაროსთან ამგვარმა პრაქტიკულმა ინტერაქციამ, ხელშესახები გახადა და აზრი შესძინა მათ განათლებას, იმავდროულად განუვითარა კომუნიკაციის, ლიდერობის უნარები და აქტიური მოქალაქეობისადმი გრძელვადიანი ერთგულება.

*პროექტის მხოლოდ აკადემიურ ამოცანად დანახვის ნაცვლად, მოსწავლეები მუნიციპალიტეტისა და თემის ლიდერებს დაუკავშირდნენ და თავდაჯერებულად გააცნეს საკუთარი გეგმების გარემოსდაცვითი, სოციალური და რეკრეაციული სარგებელი, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.*

*მივხვდი, რომ აქტიური მოქალაქეობა ნიშნავს ჩვენს გარშემო სამყაროზე პასუხისმგებლობას, ამიტომ მეამყება, რომ შევიტანე წვლილი ჩვენი თემის გაუმჯობესებასა და მდგრადობაში.*

## Europe@ns. დიახ, ჩვენ ეს შეგვიძლია.

**ქვეყნები:** იტალია, რუმინეთი, ესპანეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 6-9 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/europens-yes-we-can

**რეზულტატი:** https://shorturl.at/tGmyu

**პროექტის შინაარსი:** პროექტში მოსწავლეებმა ევროპული იდენტობა, ევროკავშირის ისტორიის, ღირებულებებისა და წევრი სახელმწიფოების შესახებ ინფორმაციის მოძიების გზით შეისწავლეს. კვლევის, დისკუსიებისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის მეშვეობით, მოსწავლეებმა გაანალიზეს სხვადასხვა ცნებები, როგორიცაა მშვიდობა, სოლიდარობა და კულტურული მრავალფეროვნება. აქტივობებმა მოსწავლეებს განუვითარა კრიტიკული აზროვნება და დაეხმარა იმის გააზრებაში, თუ რას ნიშნავს იყო საერთო ევროპული საზოგადოების ნაწილი.

**როგორ განხორციელდა:**

### ევროპის კვლევა

საკუთარი და სხვა ევროპული ქვეყნების ტრადიციების, გეოგრაფიისა და პოლიტიკური სტრუქტურების შესასწავლად, მოსწავლეებმა ეროვნულ გუნდებში იმუშავეს. მოიძიეს ინფორმაცია ევროკავშირის საწყისების შესახებ და მოახდინეს რეფლექსია ევროკავშირის ძირითად პრინციპებზე: დემოკრატია, თანამშრომლობა და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა.

### შემოქმედებითი აზროვნება

საერთაშორისო ჯგუფებში, მოსწავლეებმა მოიფიქრეს და შექმნეს ერთი იდეალური ევროპული ქვეყნის მოდელი. ყველაფერი ერთობლივად შეიმუშავეს, დროშიდან და ვალუტიდან დაწყებული, კანონებითა და ოფიციალური ენით დამთავრებული, რითაც დემოკრატიული ღირებულებები შემოქმედებითი და გუნდური თანამშრომლობით გააცოცხლეს.

### დიალოგი და მონაწილეობა

ფორუმზე გამართულმა დისკუსიებმა, მოსწავლეებს იდეების გაცვლისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ გალაშქრების საშუალება მისცა. სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებთან Kahoot-ის ვიქტორინითა და ევროკავშირის ახალი დევიზის ერთობლივად მოფიქრების აქტივობით, ხელი შეეწყო ჩართულობას, კულტურათშორის დიალოგსა და ევროპისადმი მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერებას.

*მოსწავლეების შეხედულებები, როგორც წესი, მათი პირადი გამოცდილებისა და კულტურული წარმომავლობის საფუძველზე ყალიბდება, თუმცა მათზე შესაძლოა სტერეოტიპებმაც მოახდინოს ზეგავლენა. ასეთი პროექტები, პედაგოგს ეხმარება, მოსწავლეებს დემოკრატიული ღირებულებები და კრიტიკული აზროვნება განუვითაროს და თვალსაწიერი გაუფართოოს.*

*მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაინც შეგვიძლია ერთ მხარეს დავდგეთ, ერთად ვიმუშაოთ და მოვძებნოთ საბოლოო, ერთმანეთისთვის მისაღები გამოსავალი.*

## EU4Teens

**ქვეყნები:** საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 6-9 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/eu4teens

**რეზულტატი:** https://shorturl.at/uXUBF

**პროექტის შინაარსი:** 2024 წელს ევროკავშირში გამართული არჩევნების თემატიკაზე შექმნილი პროექტით, მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა გაეგოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ევროკავშირს მათი ცხოვრებისა და მომავლისათვის. გავრცელებული დეზინფორმაციისა და სხვადასხვა მედიანარატივების საპასუხოდ, მოსწავლეები ჩაერთნენ ევროპული ღირებულებების, ინსტიტუტებისა და შესაძლებლობების შესახებ კრიტიკულ დისკუსიებში. შექმნეს ორიგინალური ციფრული კონტენტი, რომელშიც ასახეს მათი, როგორც ახალგაზრდა ევროპელების, პერსპექტივები.



**როგორ განხორციელდა:**

### საზღვრისმიღმა კვლევა

პროექტის მიზნებისათვის, ოთხივე მონაწილე ქვეყნის მოსწავლეები თორმეტ საერთაშორისო გუნდში გადანაწილდნენ. გუნდებმა ასინქრონული და პირდაპირი კომუნიკაციის გზით ითანამშრომლეს. Cryptpad, Digipad და ვიდეო კონფერენციების საშუალებით, მოსწავლეებმა შეისწავლეს სხვადასხვა თემები, გაცვალეს იდეები და დაგეგმეს ერთობლივი აქტივობები.

### მედიაპროდუქტი

მოსწავლეებმა Bandlab-ის გამოყენებით, ერთობლივად შექმნეს პოდკასტები ევროპის თემატიკაზე და მონაწილეობა მიიღეს Madmagz-ზე ონლაინჟურნალის შექმნაში. აღნიშნულმა მულტიმედიურმა ფორმატმა, განავითარა რეფლექსია, კრეატიულობა და ავთენტური აზროვნება, ამავდროულად, გააუმჯობესა ციფრული და მედიაუნარები.

### კრიტიკული ჩართულობა

ევროკავშირის ინსტიტუტების, არჩევნებისა და საერთო ღირებულებების სიღრმისეული გააზრებით, მოსწავლეებმა ისწავლეს სხვადასხვა იდეების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, წყაროს შეფასება და ინფორმირებული მოსაზრების ჩამოყალიბება. მოსწავლეების აქტიურმა ჩართულობამ არა მხოლოდ ხელი შეუწყო დემოკრატიულ სწავლებას, არამედ განავითარა კულტურათშორისი დიალოგი და საერთო ევროპული იდენტობის განცდა.

*ჩვენ მუდმივად უნდა ვაცნობდეთ მოსწავლეებს ევროკავშირის ისტორიას, ღირებულებებსა და უპირატესობებს, რათა მათ უფრო კრიტიკულად შეხედონ სოციალურ მედიაში არსებულ დეზინფორმაციასა და ნახევრად სიმართლეს.*

*თუ არ ვიზრუნებთ დემოკრატიაზე, ვერ შექმნით ისეთ საზოგადოებას, სადაც განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები შეძლებენ ერთად შეკრებას და საერთო ენის გამონახვას, ყველასთვის მისაღები გამოსვლის მოსაფიქრებლად.*

## Lead4Peace

**ქვეყნები:** საფრანგეთი, საქართველო, საბერძნეთი, იტალია, იორდანია, ლატვია, ჩრდილოეთ მაკედონია, პოლონეთი, პორტუგალია, თურქეთი, უკრაინა

**საგანმანათლებლო საფეხური:** 6-9 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/lead4peace

**რეზულტატი:** https://shorturl.at/Kvtqc

**პროექტის შინაარსი:** მშვიდობის, ტოლერანტობისა და ზოგადი ჰუმანურობის ღირებულებებზე დაფუძნებულმა პროექტმა, სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეები გლობალურ გამოწვევებზე რეფლექსიისთვის და ინკლუზიურობის ხელშესაწყობად გააერთიანა. პროექტის შთაგონების წყაროდ იქცა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, კერძოდ კი მე-16 მიზანი, რითაც საკლასო სწავლება დაუკავშირდა რეალურ სამყაროში არსებულ პრობლემებს: კონფლიქტები, კატასტროფებისთვის მზადყოფნა

და ადამიანის უფლებები. შემოქმედებითი გამოხატვითა და საზოგადოებრივი ჩართულობით, მოსწავლეებმა შეისწავლეს, თუ როგორ შეუძლია ემპათიასა და თანამშრომლობას უფრო სამართლიანი და მშვიდობიანი სამყაროს შექმნა.

**როგორ განხორციელდა:**

**შემოქმედებითი გამოხატვა და რეფლექსია**

მშვიდობის, მრავალფეროვნებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოსწავლეებმა ერთობლივად მოიფიქრეს ლექსები, მოთხრობები, პლაკატები და ფრაზების წიგნი. პროექტები, როგორიცაა „მშვიდობის ანბანი“, ერთობლივი მოთხრობა მდგრადი განვითარების მიზნების თემატიკაზე, ასევე ვიდეო რგოლი „go-bag“-ში ჩასადები საჭირო ნივთების შესახებ, მოსწავლეებს დაეხმარა საკუთარი იდეების გამოხატვასა და იმავდროულად პრაქტიკული ცხოვრებისეული უნარების ათვისებაში.

**საზოგადოებასთან ურთიერთობა და ადვოკატირება**

მოსწავლეებმა მიღებული ცოდნა საკუთარ თემს, ადამიანის უფლებების დღის აღნიშვნის, საქველმოქმედო ღონისძიებებისა და სკოლებში სამშვიდობო კამპანიების მეშვეობით გაუზიარეს. ამ გამოცდილებამ, მოსწავლეების კლასგარეშე შრომას შინაარსი შემატა და ხელი შეუწყო ემპათიის, ინიციატივიანობისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას.

**კულტურათშორისი და მონაწილეობითი სწავლება**

კულტურათშორისი დიალოგი და გუნდური მუშაობა, პროექტში ონლაინშეხვედრებითა და ერთობლივი დავალებებით წახალისდა. მოსწავლეებმა მოირგეს მწერლების, დიზაინერების, ორგანიზატორებისა და მკვლევრების როლი, ისწავლეს ლიდერობა, უკუკავშირის მიწოდება და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან მუშაობა. აქტივობებში მშობლების ჩართულობამ ასევე შეუწყო ხელი სკოლისა და ოჯახის დაახლოებას, რითაც მკაფიოდ გაესვა ხაზი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ჩართულობის მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

*პროექტი მოსწავლეებს სოციალური და პოლიტიკური საკითხების გაანალიზებაში, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრებაში დაეხმარა. ეს ყველაფერი პრაქტიკულ საქმიანობაშიც გამოიხატა, მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებებსა და მოწყვლადი საზოგადოების წევრების მხარდასაჭერ აქტივობებში.*

*პროექტით შთაგონებულმა, მონაწილეობა მივიღე მოხალისეობრივ აქტივობებში და ჩემს თემს დავეხმარე.*

## მოდით, გავამწვანოთ ჩვენი მომავალი

**ქვეყნები:** იტალია, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 6-9 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/lets-green-future

**რეზულტატი:** https://shorturl.at/ORXdv



**პროექტის შინაარსი:**

პროექტის ფოკუსს წარმოადგენდა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობიანი მოქალაქეობა, რაც მოსწავლეებს კლიმატის ცვლილებისა და მდგრადობის საკითხებზე კრიტიკული რეფლექსიისკენ მოუწოდებდა. კვლევისა და შემოქმედებითი ციფრული აქტივობების დახმარებით, მოსწავლეებმა შეისწავლეს, თუ როგორ უწყობს ხელს ინდივიდუალური და კოლექტიური ძალისხმევები უფრო ჯანსაღი პლანეტის ფორმირებას. აქტივობებმა მოსწავლეებს განუვითარა ეკოლოგიური ჩვევები და გაუღრმავა ცოდნა გარემოსდაცვითი გამოწვევებისა და სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

**როგორ განხორციელდა:**

**შემოქმედებითი კვლევა**

მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოსწავლეებმა ერთობლივად შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტები, როგორიცაა ნულოვანი ნარჩენების ანბანი, ერთობლივად შექმნეს ნარკვევების წიგნი და ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილი ჩატბოტი EnviroBot_24. კლიმატის შესახებ ცნობიერების გასაზომად, მოსწავლეებმა გამოიყენეს კითხვარები, ხოლო დასკვნების გასაზიარებლად, მოაწყვეს ციფრული გამოფენები და მოამზადეს ვიდეორგოლი საზოგადოებრივი სერვისების შესახებ.

**ერთობლივი მუშაობა**

საერთაშორისო გუნდებში მუშაობისას, მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებდნენ იდეებს, ქმნიდნენ კონტენტს სოციალური მედიაკამპანიებისა და ვირტუალური პრეზენტაციების მოსამზადებლად. ციფრულმა ინსტრუმენტებმა გაზარდა მოსწავლეების დაინტერესება, ხოლო ერთობლივმა ძალისხმევამ ხელი შეუწყო გუნდურ მუშაობას, კულტურათშორის განათლებასა და სამოქალაქო ჩართულობას.

**გავლენა ადგილობრივ დონეზე**

ციფრული სამყაროს მიღმა, მოსწავლეებმა ასევე ითანამშრომლეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან გარემოს დასუფთავების აქციის მოსაწყობად. ამ გამოცდილებამ, მათი ცოდნა რეალურ ცხოვრებას დაუკავშირა და ხელი შეუწყო მათი, როგორც აქტიური და პასუხისმგებლობიანი მოქალაქეების იდენტობის განმტკიცებას, ამავდროულად, განუვითარა კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ციფრული წიგნიერების უნარები.

*აქტიური მოქალაქეობა ჩვენმა მოსწავლეებმა გამოავლინეს, როდესაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, გარემოს დასუფთავების აქცია დააორგანიზეს. ჩატბოტის (EnviroBot_24) მეშვეობით, მოსწავლეებმა ცოდნა გაუზიარეს თავიანთ თემს და საერთაშორისო აუდიტორიასაც მიაწვდინეს ხმა.*

*აქტიური მოქალაქეობა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობას ან ფორმალურ პროცესებში ჩართულობას არ ნიშნავს; საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანის უამრავი გზა არსებობს. მცირე ქმედებებსაც კი, როგორიცაა დასუფთავების აქცია, შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილების მოხდენა.*

## მე, ჩემი მემკვიდრეობა და შენ

**ქვეყნები:** ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 6-9 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/me-my-heritage-and-you

**რეზულტატი:** https://shorturl.at/lwpub

**პროექტის შინაარსი:**

პროექტში კულტურული მემკვიდრეობა და გლობალური მოქალაქეობა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების პრიზმიდან იქნა განხილული. მოსწავლეებმა შეიტყვეს ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურული ღირსშესანიშნაობების შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ, განივითარეს ევროპის მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობისადმი გაზიარებადი პასუხისმგებლობის გრძნობა და პატივისცემა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევის, პრეზენტირებისა და ნომინირების პროცესში, მოსწავლეებმა გააცნობიერეს იდენტობის, ინკლუზიურობისა და მომავალი თაობებისთვის ჩვენი საერთო წარსულის შენარჩუნების მნიშვნელობა.

**როგორ განხორციელდა:**

**ციფრული ამბის თხრობა**

საერთაშორისო გუნდებში მუშაობისას, მოსწავლეებმა შეისწავლეს იუნესკოს ძეგლები და მათი ადგილმდებარეობა, ისაუბრეს პირად კავშირებზე ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობასთან და დაასახელეს ახალი ობიექტები იუნესკოს სიაში შესატანად. საკუთარ იდეებზე სასაუბროდ და სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებთან კავშირის დასამყარებლად, მოსწავლეებმა გამოიყენეს ვიდეოები, ფორუმი და ციფრული ამბის თხრობის მეთოდი.

**შემოქმედებითი ერთობლივი პროდუქტი**

ონლაინინსტრუმენტებისა და TwinSpace-ის გამოყენებით, მოსწავლეებმა შექმნეს ვიზუალური კონტენტი, ერთობლივად დაწერეს სტატიები და კენჭისყრის მეშვეობით მიიღეს პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, მაგალითად, პროექტის ლოგოს შესახებ. აღნიშნულმა დავალებებმა წაახალისა მოსწავლეები, გამოეხატათ საკუთარი აზრი, მოესმინათ სხვებისთვის და გაეანალიზებინათ სხვადასხვა კულტურული პერსპექტივები.

**აქტიური მონაწილეობა**

პროექტში გაერთიანდა გადაწყვეტილებების მიღების, შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის უნარები, რამაც მოსწავლეებს ჭეშმარიტი პასუხისმგებლობის განცდა გაუღრმავა. ონლაინფორუმზე მსჯელობისას თუ ერთობლივი პრეზენტაციების მომზადებისას, მოსწავლეები ვარჯიშობდნენ გუნდურ მუშაობაში, ლიდერობასა და კრიტიკულ აზროვნებაში - რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი ცოდნა მოქალაქეობისა და კულტურის შენარჩუნების ღირებულებებთან დაკავშირებით.

*იუნესკოს მემკვიდრეობის სიაში შესატანი ძეგლების ნომინირებისთვის, მოსწავლეებმა ტრანსნაციონალურ ჯგუფებში იმუშავეს. ამ პროცესმა მოსწავლეებს უბიძგა კრიტიკული რეფლექსიისკენ, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თემაზე, გაუძლიერა პასუხისმგებლობის გრძნობა და გაუღრმავა ცოდნა აქტიური ევროპული მოქალაქეობის შესახებ.*

*მივხვდი, რომ მცირე ქმედებებსაც შეუძლიათ დიდი ცვლილებების მოხდენა. ამაში იგულისხმება გარშემომყოფთა სასარგებლოდ საუბარი, მოქმედება და მხარდაჭერა.*



## Dade-ის გზა ცვლილებისკენ

**ქვეყნები:** გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ლიეტუვა, პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 6-9 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/dades-journey-change

**რეზულტატი:** https://shorturl.at/JHKEK

**პროექტის შინაარსი:**

პროექტმამოსწავლეებსშესთავაზაგლობალურიმოქალაქეობისპრიზმიდანშეესწავლათ აქტუალური გლობალური გამოწვევები - კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, ციფრული უსაფრთხოება, მიგრაცია. მოქალაქეობრივი განათლების ციფრულ წიგნიერებასთან, გარემოსდაცვით კვლევებთან და ადამიანის უფლებებთან კომბინირებით, მოსწავლეებმა შემოქმედებითი და კრიტიკული ფორმით შეისწავლეს ზემოაღნიშნული ურთიერთდაკავშირებული საკითხები. მათ მიერ მომზადებულ ნაშრომებში, ხაზგასმით გამოიკვეთა საერთო ღირებულებები, ეთიკური რეფლექსია და კოლექტიური ქმედების ძალა მდგრადი და ინკლუზიური მომავლის ჩამოყალიბებაში.

**როგორ განხორციელდა:**

**ინტერდისციპლინარული კვლევა**

მოსწავლეებმა ერთად იმუშავეს კომპლექსურ საკითხებზე შემოქმედებითი პასუხების მოსამზადებლად, შექმნეს პოსტერები, ვიდეორგოლები, სიმღერები და ელექტრონული წიგნები. ერთობლივად შემუშავებულ თემატურ კალენდარში აისახა მდგრადობის, კეთილდღეობის, ადამიანის უფლებებისა და კულტურული ღონისძიებების საკითხები, რაც მოსწავლეებს დაეხმარა ევროპის მასშტაბით არსებულ სხვადასხვა კულტურებს შორის საერთო ნიშან-თვისებების ამოცნობასა და ურთიერთდაკავშირებულობის განცდის გაძლიერებაში.

**ინოვაციური მულტიპერსპექტივა**

ონლაინფორუმებსა და სხვადასხვა როლების მიხედვით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში, მოსწავლეებმა ჟურნალისტების, მეცნიერებისა და ახალგაზრდა ელჩების როლები მოირგეს, რათა გამოწვევები სხვადასხვა პერსპექტივიდან შეესწავლათ. ასევე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, ერთობლივად შექმნეს ციფრული პერსონა „Dade-ის ავატარი“, რამაც წაახალისა რეფლექსია კოლექტიურ ღირებულებებზე და დიალოგი ტექნოლოგიების როლზე მდგრადობის განვითარებაში.

**ეთიკური დიალოგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა**

მოსწავლეები ჩაერთნენ ციფრული დილემების, კლიმატის ცვლილებისადმი პასუხისმგებლობისა და ინკლუზიურობის საკითხების შესახებ დისკუსიებში. განიხილეს ეთიკური სიტუაციები და მოიფიქრეს პასუხისმგებლობიანი, პროგრესული გამოსავლები. საბოლოო რეზულტატი - ანიმაციებით დაწყებული ცნობიერების ამაღლების კამპანიებით დამთავრებული - გაზიარებულ იქნა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, რითაც გაძლიერდა ინფორმირებული, შემოქმედებითი ძალისხმევისა და საზოგადოებაში ჩართულობისადმი პასუხისმგებლობის განცდა.

*პროექტში, ჩემი მოსწავლეების მხრიდან, აქტიური მოქალაქეობრივი თვისებების დემონსტრირების ერთ-ერთი მაგალითი იყო კლიმატის ცვლილების სამუშაო ჯგუფის აქტივობა, სადაც მოსწავლეებმა საერთაშორისო გუნდებში მოირგეს სხვადასხვა როლები (მაგ., ინფლუენსერის, მეცნიერის), კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოსავლების განსახილველად და შესათავაზებლად.*

*თუ ვიზრუნებთ გარემოზე, ის საპასუხოდ უხვად დაგვაჯილდოებს. შედეგად, ვიცხოვრებთ უფრო ჯანსაღ, სუფთა და ბუნებასთან ჰარმონიულ გარემოში.*

## ციფრული მეწარმეობა და თაობა-Z

**ქვეყნები:** რუმინეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** საწყისი პროფესიული განათლება და გადამზადება

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/digital-entrepreneurship-and-generation-z

**რეზულტატი:** https://shorturl.at/S1EXM

**პროექტის შინაარსი:** პროექტში თაობა Z-ის (ჯენზი) იდენტობა და პოტენციალი, ციფრული მოქალაქეობის, მეწარმეობისა და კულტურული ცნობიერების თემების მეშვეობით იქნა შესწავლილი. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია, თუ როგორ ცვლის ციფრული ტექნოლოგიები მათ ცხოვრებას და როგორ უნდა შეძლონ ტექნოლოგიების შემოქმედებითი და პასუხისმგებლობიანი გამოყენება. ინტერდისციპლინარული, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების დახმარებით, მოსწავლეებმა განივითარეს კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნებისა და ციფრული წიგნიერების საბაზისო უნარები, ამავდროულად, მოახდინეს რეფლექსია საკუთარ, ანუ გლობალური მოქალაქის, როლზე.

**როგორ განხორციელდა:**

**კრეატიული ციფრული ჩართულობა**

მოსწავლეებმა ერთობლივად მოამზადეს გონებრივი რუკები ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა კეთილდღეობა, მეწარმეობა და იდენტობა, შექმნეს ციფრული საინფორმაციო ბუკლეტები და ლექსიკონები, ხოლო eTwinning-ის დღე ერთობლივად მომზადებული ვიდეორგოლით აღნიშნეს. ასევე შექმნეს სოციალური მედიაარხები და გამოიყენეს Kahoot-ის მაგვარი ინსტრუმენტები პროექტის თემების შესახებ ცოდნის ინტერაქტიული ფორმით მისაღებად, რითაც გაიუმჯობესეს როგორც ტექნიკური, ასევე კომუნიკაციის უნარები.

**კროსკურიკულარული სწავლება**

პროექტი ინტეგრირდა სხვა საგნების საგაკვეთილო გეგმებში, რამაც მოსწავლეებს საშუალება მისცა შინაარსიანად დაეკავშირებინათ ერთმანეთთან ენების ცოდნა, STEM, სოციალური მეცნიერებები და მედიაგანათლება. აქტივობებით, მოსწავლეებმა განივითარეს ძირითადი კომპეტენციების ფართო სპექტრი, მათ შორის უცხოური ენების, სამეცნიერო აზროვნების, ადაპტაციისა და თანამშრომლობის უნარები.

**პროცესში ჩართულია ყველა**

დინამიური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, სხვადასხვა საგნების მასწავლებლებმა მჭიდროდ ითანამშრომლეს მოსწავლეებთან, ოჯახებთან და სკოლის ხელმძღვანელებთან. ამ მიდგომით, წახალისდა ჩართულობა, გაძლიერდა პროცესის ფლობის განცდა და ხელი შეეწყო სკოლის მასშტაბით ჩართულობისა და რეფლექსიის კულტურის დანერგვას.

*ციფრული მეწარმეობის პროექტებმა, ჩემს მოსწავლეებს არა მხოლოდ ეკონომიკურ წარმატებაზე ფოკუსირებისკენ, არამედ სოციალური პასუხისმგებლობის გაჯრებისკენაც მოუწოდა. თაობა Z-მ უნდა გააცნობიეროს ციფრულ სამყაროში მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობების მესრულების, სოციალური ცვლილებების მოხდენისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობა.*

*განსხვავებული მეგრძნება იყო საერთაშორისო ვებინარის მიმდინარეობისას თუ „ციფრული მოქალაქეობის დღის“ აღნიშვნისას, ევროპელებთან საკუთარი თავის ნილვა და ბიზნესის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ჩაწერა.*



## გაუღეთ ფანჯარა ევროპას!

**ქვეყნები:** გერმანია, ნიდერლანდები, ესპანეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** საწყისი პროფესიული განათლება და გადამზადება

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/open-your-window-europe

**რეზულტატი:** https://shorturl.at/E5AVw

**პროექტის შინაარსი:** პროექტმა ერთმანეთს სამი პროფესიული სკოლის მსმენელები დააკავშირა, რათა მათ ერთობლივად გაეანალიზებინათ Erasmus+ და eTwinning-ის პროექტებიდან მიღებული გამოცდილება. კულტურის, ენისა და დასაქმებისადმი მოლოდინების შესახებ საკუთარი მოსაზრებების გაზიარებით, მსმენელებმა გაიძლიერეს ევროპული იდენტობის განცდა და ამავდროულად განივითარეს ინგლისური ენის, ციფრული წიგნიერებისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის უნარები. პროექტი აქცენტირებული იყო პრაქტიკულ სწავლაზე, რაც მოსწავლეებს მოგზაურობის, დასაქმებისა და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ კრიტიკულად აზროვნებისკენ მოუწოდებდა.

**როგორ განხორციელდა:**

**კულტურათშორისი გაცვლა**

TwinSpace-ის, Teams-ისა და ონლაინფორუმის გამოყენებით, მონაწილეებმა განიხილეს ევროპული წეს-ჩვეულებები, ენები და სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესები. შექმნეს ქვეყნების ინფოგრაფიკები, გაცვალეს წერილები და ერთობლივად დაწერეს ოთხი ელექტრონული წიგნი სამოგზაურო რჩევებისა და რეკომენდაციების შეთავაზებით.

**ენობრივი და ციფრული უნარები**

მოტივაციური წერილების მოფიქრება, საკუთარი სკოლების წარდგენა ვიდეორგოლებით და ყველა აქტივობაში ინგლისურ ენაზე მუშაობა, მონაწილეებს როგორც ენობრივი ცოდნის, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი თავდაჯერებულობის გაუმჯობესებაში დაეხმარა. ციფრული ინსტრუმენტებით, გაძლიერდა კრეატიულობა და თანამშრომლობა, ამავდროულად, სასწავლო პროცესს უფრო მიზანმიმართული და რელევანტური სახე მიეცა.

**მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა**

პროცესს ხელმძღვანელობდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები კი ქმნიდნენ შინაარსს. მონაწილეებმა ერთმანეთს შეადარეს საგანმანათლებლო სისტემები, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს კულტურული სტერეოტიპები და ერთობლივად შექმნეს საკუთარი გამოცდილების ამსახველი მასალები. ამგვარი მონაწილეობითი მეთოდის წყალობით, გაძლიერდა ავტონომიურობა, ემპათია და ინკლუზიური გუნდური მუშაობა, რამაც მოსწავლეები აღფრთოვანა ცხოვრებისთვის, სწავლისთვის და სამომავლო მობილობისთვის აუცილებელი ინსტრუმენტებით.

*აქტიური მოქალაქეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოვლინებად მიმაჩნია მომენტი, როდესაც ჩემმა მოსწავლეებმა დაამსხვრიეს სტერეოტიპები კულტურული რეალობების შედარებისას, TwinSpace-ზე გამართული დისკუსიების დროს. მათ პატივისცემით განიხილეს მცდარი წარმოდგენები, გაუზიარეს ერთმანეთს პირადი გამოცდილება და უფრო მკაფიო ცოდნა შეიძინეს სხვადასხვა ევროპული კულტურის შესახებ.*

*მთავარია შეგვეძლოს ცვლილების, თუნდაც მცირედის, მოხდენა სხვებთან ურთიერთობებითა და ახალი პერსპექტივებისადმი ღიაობით. მხოლოდ ასე შევძლებთ სტერეოტიპების დაწგრევას, კავშირების დამყარებასა და უფრო მეტად ინკლუზიური სამყაროს შექმნას.*

## არა ერთჯერად მომხმარებლობას, გადავამუშავოთ და ხელახლა გამოვიყენოთ

**ქვეყნები:** პორტუგალია, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** საწყისი პროფესიული განათლება და გადამზადება

**პროექტის ბმული:**https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/not-single-use-convert-and-reuse

**რეზულტატი:** https://shorturl.at/7sKYi

**პროექტის შინაარსი:** პროექტის თემად შეირჩა მდგრადი განვითარება. მონაწილეებმა გაანალიზეს ადამიანის ქცევის ზეგავლენა პლანეტაზე და მნიშვნელოვანი ღონისძიებების საჭიროება. ინტერდისციპლინური სწავლების გამოყენებით, მოსწავლეებმა გამოიკვლიეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ნახშირბადის კვალი, ნარჩენების შემცირება და ციკლური ეკონომიკა. შემოქმედებითი პროექტებითა და საზოგადოებასთან ურთიერთობით, მოსწავლეებმა თეორიული ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებას დაუკავშირეს, რითაც განივითარეს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და აქტიური მოქალაქეობის განცდა.

**როგორ განხორციელდა:**

**მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება**

ადგილობრივი გარემოსდაცვითი პრობლემების შესასწავლად და პრაქტიკული გადაწყვეტების შესათავაზებლად, მოსწავლეებმა ჯგუფურად იმუშავეს. მოაწყვეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები, უმასპინძლეს დებატებს და ჩაატარეს სემინარები მრავალჯერადი გამოყენების შესახებ, რითაც იდეები ქმედებებად აქციეს თავიანთ სკოლებსა და თემში.

**სოციალური განათლება**

ნარჩენების გადამუშავების პროექტებითა და მოხალისეობრივი ინიციატივების მეშვეობით, მოსწავლეებმა გამონახეს პრაქტიკული გზები მდგრადი განვითარების შესასწავლად. აქტივობებმა საშუალება მისცა მონაწილეებს, დაფიქრებულიყვნენ საკუთარ ჩვევებზე, გაეცნობიერებინათ რესურსების მნიშვნელობა და კრიტიკულად ეფიქრათ გარემოს დაცვის კუთხით საკუთარ როლზე.

**თანამშრომლობის შედეგი**

გუნდური მუშაობისა და დიალოგის დახმარებით, მოსწავლეებმა გაიძლიერეს კომუნიკაციისა და პრობლემების გადაჭრის უნარები, ამავდროულად, მოუწოდეს სხვებს მდგრადი განვითარებისადმი კოლექტიური პასუხისმგებლობის აღებისკენ. თანატოლების, მასწავლებლებისა და ოჯახების ჩართულობით, ხელი შეუწყვეს გარემოსდაცვითი ცნობიერების კულტურის ფორმირებას, რომლის საფუძველსაც ემპათია, პასუხისმგებლობა და სამოქალაქო მონაწილეობა წარმოადგენს.

*აქტიური მოქალაქეობის შესანიშნავი გამოვლინება იყო ჩემი მოსწავლეების მიერ სკოლაში გამართული ცნობიერების ამაღლების კამპანია, ნარჩენების შემცირების თემაზე. ღონისძიების კულმინაციად იქცა მასალების შეგროვებისა და ხელახლა გამოყენების აქცია, რომელშიც მთელი სასკოლო საზოგადოება ჩაერთო, ინიციატივისა და გაზიარებადი პასუხისმგებლობის დემონსტრირებით.*

*აქტიურ მოქალაქედ მაშინ ვიგრძენი თავი, როდესაც წარჩენების ახალ პროდუქტებად გარდაქმნაში მივიღე მონაწილეობა. სასიამოვნო იყო იმის დანახვა, თუ რომ შევძელით მეორე სიცოცხლე მიგვეცა ისეთი მასალებისთვის, რომლებსაც სხვა შემთხვევაში უბრალოდ გადავყრიდით.*



## კიბერუსაფრთხოება

**ქვეყნები:** ჩრდილოეთ მაკედონია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, ტუნისი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** საწყისი პროფესიული განათლება და გადამზადება

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/cyber-security-2

**რეზულტატი:** https://shorturl.at/6mh6E

**პროექტის შინაარსი:** პროექტში განხილული იქნა კავშირი მოქალაქეობასა და ციფრულ ცხოვრებას შორის, ონლაინუსაფრთხოებაზე, კიბერუსაფრთხოებასა და ციფრულ სივრცეში პასუხისმგებლობიან ქცევაზე აქცენტირებით. მონაწილეებმა გამოიკვლიეს, თუ რა გავლენას ახდენს მათი ქცევა სხვა ადამიანებზე ონლაინსივრცეში და ისწავლეს, თუ როგორ უნდა დაიცვან საკუთარი და თემის უსაფრთხოება. რეალური სამყაროს წინაშე არსებულ ციფრულ გამოწვევებზე ფოკუსირებით, პროექტმა ხელი შეუწყო ემპათიის, ეთიკური ცნობიერებისა და აქტიური ციფრული მოქალაქეობის განვითარებას.

**როგორ განხორციელდა:**

**ციფრული რისკები**

მონაწილეებმა შეისწავლეს სხვადასხვა თემები, მათ შორის კიბერბულინგი, პერსონალური მონაცემების დაცვა და დეზინფორმაცია. ჯგუფური დისკუსიებისა და კონკრეტული მაგალითების გაანალიზებით, განიხილეს რეალური ინციდენტები და მოიფიქრეს პრაქტიკული გადაწყვეტები, რითაც გაიძლიერეს როგორც ცნობიერება, ასევე მდგრადობის უნარი ციფრულ სამყაროში.

**შექმნა და გაზიარება**

კონტენტ-კრეატორების რანგში, მოსწავლეებმა მოამზადეს ინფოგრაფიკები, ვიდეორგოლები და ციფრული კამპანიები, რათა სხვებისთვისაც მიეწოდებინათ ინფორმაცია კიბერუსაფრთხოების შესახებ. ერთობლივად შექმნილი მასალები გაზიარებული იქნა სკოლებსა და ონლაინპლატფორმებზე, იმაზე ხაზგასმით, რომ ციფრული პასუხისმგებლობა და ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენება მნიშვნელოვანია.

**კრიტიკული რეფლექსია**

საკუთარ დასკვნებზე საუბრისას და თანატოლებისგან უკუკავშირის მიღებით, მონაწილეებმა გაიუმჯობესეს კომუნიკაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარები. პროექტმა მოსწავლეებს მოუწოდა ციფრულ უფლებებზე რეფლექსიისკენ, ონლაინქცევის შედეგების შეფასებისკენ და კიბერუსაფრთხოების სფეროში კარიერის განვითარებაზე დაფიქრებისკენ, რითაც საფუძველი ჩაეყარა მათ პასუხისმგებლობიან და ინფორმირებულ ციფრულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

*მომენტი, როდესაც ჩემმა მოსწავლეებმა პროექტში აქტიური მოქალაქეობის დემონსტრირება მოახდინეს, იყო მათ მიერ სკოლაში „უსაფრთხო ინტერნეტის კვირეულის“ ორგანიზება. მოსწავლეებმა გამართეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები, გაუზიარეს ერთმანეთს რჩევები ონლაინუსაფრთხოების შესახებ და თანატოლებს პასუხისმგებლობიანი ციფრული ჩვევებისკენ მოუწოდეს.*

*პროექტში მონაწილეობით გავიგე, რომ ონლაინპასუხისმგებლობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პასუხისმგებლობა რეალურ ცხოვრებაში. ასევე გავიგე, თუ როგორ დავიცვა ჩემი პირადი ინფორმაცია და როგორ დავეხმარო სხვებს, ციფრულ სამყაროში უსაფრთხოების შენარჩუნებაში.*

## E.Y.E.S. დემოკრატიის შესახებ (Engaged Young European Students)

**ქვეყნები:** იტალია, ესპანეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 10-12 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/eyes-democracy-engaged-young-european-students

**რეზულტატი:**https://shorturl.at/SaeJ3

**პროექტის შინაარსი:** პროექტმა მოსწავლეებს შესთავაზა რეფლექსია დემოკრატიის მნიშვნელობასა და საკუთარ როლზე დემოკრატიის ღირებულებების დაცვის კუთხით. ევროპის პარლამენტის ორ ელჩ სკოლას შორის გამართული უნიკალური, მულტიეროვნული თანამშრომლობით, მოსწავლეებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: დისკრიმინაცია, სტერეოტიპები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა. პირადი გამოცდილების უფრო ფართო ევროპულ ღირებულებებთან დაკავშირებით, პროექტი მოსწავლეებს დაეხმარა იმის გაცნობიერებაში, რომ დემოკრატია აქტიური მონაწილეობით, დიალოგითა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემით ყალიბდება.

**როგორ განხორციელდა:**

**ერთობლივი კვლევა**

თორმეტ ტრანსნაციონალურ გუნდში მუშაობისას, მოსწავლეებმა შეისწავლეს თემები, როგორიცაა ევროპული იდენტობა, კოლექტიური მეხსიერება და დემოკრატიული მმართველობა. მოამზადეს პოდკასტები, სამახსოვროები, ვიდეორგოლები და მოსწავლეთა მიერ მართული „მმართველობის მოდელიც“ კი. დებატებისა და კვლევების მეშვეობით, შეისწავლეს დემოკრატიის წინაშე დღეს არსებული გამოწვევები.

**მოსწავლეები უზრუნველყოფენ ჩართულობას**

მოსწავლეები წარმართავდნენ დისკუსიებს, უზიარებდნენ ერთმანეთს რეფლექსიებს და ერთობლივად ქმნიდნენ აქტივობებს, როგორც პირდაპირი სესიების, ასევე ასინქრონული ინსტრუმენტების გამოყენებით. მათ ნაშრომებში მკაფიოდ ჩანდა გუნდური მუშაობა, მოლაპარაკებისა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის უნარები, რამაც მონაწილეებს გაუძლიერა პროცესის ფლობის შეგრძნება და უბიძგა უფრო მეტად სიღრმისეული და კრიტიკული ჩართულობისკენ.

**აქტიური რეფლექსია**

კონკრეტული მაგალითების გაანალიზებით, გამოკითხვის ჩატარებითა და შემოქმედებითი კონტენტის შექმნით, მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს ცოდნა დემოკრატიული პრინციპებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი მნიშვნელობის შესახებ. ამ გამოცდილების დამსახურებით, გაძლიერდა ემპათია, ანგარიშვალდებულება და საერთო ევროპული პროექტისადმი მიკუთვნებულობის განცდა, რაც აუცილებელია მოსწავლეების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის, რათა მათ შეძლონ დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნქციონირება.

*გამოვყოფდი ერთ-ერთ გამორჩეულ მომენტს, როდესაც მოსწავლეებმა მოამზადეს თავიანთი გუნდების სამახსოვრო ბარათები, იმის ხაზგასასმელად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გვახსოვდეს დემოკრატიის მნიშვნელობა და რამდენად დიდი საფრთხეა გულგრილი დამოკიდებულება დემოკრატიის შენარჩუნების პროცესში. ტრანსნაციონალურ გუნდებში, მოსწავლეებმა განიხილეს, თუ როგორ მკაფიოდ გვაჩვენებს ისტორიაში მომხდარი სისასტიკეები, მაგალითად ჰოლოკოსტი, შეუწყნარებლობაზე თვალის დახუჭვის შედეგებს.*

*eTwinning-ის პროექტში მონაწილეობამ მასწავლა, რომ დემოკრატია და ევროპული ღირებულებები მხოლოდ თეორიული ცნებები არ არის, არამედ მათი აქტიური დაცვა და ხელშეწყობა ჩვენი ყველას ვალდებულებაა.*



## NextGenEUropeans

**ქვეყნები:** ბულგარეთი, უნგრეთი, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 10-12 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/nextgen-europeans

**რეზულტატი:** https://shorturl.at/1vrII

**პროექტის შინაარსი:** პროექტში ევროპის მოქალაქეობა და კულტურული მემკვიდრეობა განხილული იქნა შემოქმედებითი, მოსწავლეთა მიერ მართული აქტივობების მეშვეობით, რითაც მოსწავლეები ევროკავშირის ღირებულებებს, შესაძლებლობებსა და იდენტობას დაუკავშირდნენ. NextGenerationEU-ის გეგმით შთაგონებულმა პროექტმა, თაობა Z-ის მოსწავლეებს მოუწოდა რეფლექსიისკენ, თუ რას ნიშნავს ევროპელობა დღევანდელ ცხოვრებაში. თემები მოიცავდა ევროკავშირის ახალგაზრდულ ინიციატივებს, ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ გამოყენებას, და სხვა. აღნიშნული აქტივობები ევროპის საერთო კულტურული მიღწევების საზეიმო აღნიშვნის ფარგლებში გაერთიანდა.

**როგორ განხორციელდა:**

**შემოქმედებითი ჩართულობა**

მოსწავლეებმა ევროპული იდენტობისა და ღირებულებების შესახებ საკუთარი მოსაზრებების გამოსახატად, მოამზადეს ინფოგრაფიკები, სოციალური მედიაპოსტები, აუდიო და ვიდეო კონტენტი. ასევე ჩაატარეს ინტერნეტკვლევა ევროკავშირის ოფიციალურ წყარო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ხოლო დასკვნები ინდივიდუალური, ასევე ერთობლივი აქტივობებით, თანატოლებს ხელმისაწვდომი და საინტერესო კონტენტის სახით წარუდგინეს.

**დიალოგი და გამოხატვა**

ინტერაქტიური ფორუმის, ვირტუალური დაფების და ონლაინინსტრუმენტების მეშვეობით, მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ ესაუბრათ საკუთარ პერსპექტივებზე და მონაწილეობა მიეღოთ ფაქტებზე დაფუძნებულ დებატებში. დისკუსიებმა ხელი შეუწყო რეფლექსიას სხვადასხვა თემებზე, როგორიცაა მრავალფეროვნება, ეთიკა და ერთიანობა, ამავდროულად გააუმჯობესა მედიაწიგნიერებისა და კომუნიკაციის უნარები.

**კულტურის დაფასება**

პროექტში გამოყენებული იქნა ევროპული ლიტერატურის ბაზაზე შექმნილი მულტიენოვანი აქტივობები, ხოლო კულმინციურ მომენტად იქცა „ევროპელი ავტორების საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი ლაივღონისძიება. სხვადასხვა კულტურის კვლევისა და მოქალაქეობრივი განათლების კომბინირებით, მოსწავლეებს გაუძლიერდათ მიკუთვნებულობის შეგრძნება და უფრო მეტად დააფასეს ევროპის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა.

*მოქალაქეობრივი განათლება ნიშნავს, დავეხმაროთ მოსწავლეებს დაინახონ სხვადასხვა ინსტიტუტების მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე მივცეთ საშუალება დარწმუნდნენ, რომ მათ ქმედებებს უკეთესი მომავლის შექმნა შეუძლია. მოსწავლეებმა აქტიური მოქალაქეობის დემონსტრირება ბოლო აქტივობაში მოახდინეს, როდესაც გამართეს დებატები და გამოხატეს თავიანთი პოზიციები უკვე შესწავლილ საკითხებთან დაკავშირებით.*

*ევროკავშირი გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რასაც სკოლაში, მოქალაქეობის გაკვეთილებზე გვასწავლიან, ამიტომ, არაჩვეულებრივი იყო იმ შესაძლებლობების აღმოჩენა, რასაც მოქალაქეობა სთავაზობს ჩემნაირ ახალგაზრდებს.*

## SocioScienceTwinning

**ქვეყნები:** იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, თურქეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 10-12 კლასები

**პროექტის ბმული:** https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/socioscienceetwinning

**რეზულტატი:** https://shorturl.at/nO3j8

**პროექტის შინაარსი:** პროექტმა საკლასო ოთახში სხვადასხვა სოციო-სამეცნიერო საკითხები შეიტანა, რითაც მოსწავლეები ისეთი თემების ეთიკურ, სოციალურ და სამეცნიერო ასპექტებზე დააფიქრა, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, გენური ინჟინერია, ხელოვნური ინტელექტი და ბიოეთიკა. რეალური სამყაროს წინაშე არსებული დილემების კრიტიკული შეფასებით, მოსწავლეებმა განივითარეს სამეცნიერო წიგნიერება, ეთიკური მსჯელობა და დაფიქრდნენ მეცნიერების როლზე საზოგადოებაში. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო მათ პასუხისმგებლობით სავსე მოქალაქეებად მომზადებას, რომლებმაც სამომავლოდ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება უნდა შეძლონ.

**როგორ განხორციელდა:**

**კვლევა და არგუმენტირება**

ტულმინის მოდელის გამოყენებით, ასევე ლიტერატურის მიმოხილვის, ექსპერტების მოსაზრებებსა და სხვადასხვა წყაროს სტრუქტურირებულ შეფასებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა ისწავლეს დასაბუთებული არგუმენტების მომზადება. კვლევით პროცესს აკვირდებოდნენ მენტორები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლიდნენ ეთიკური მსჯელობისა და კვლევითი მეთოდების გამოყენებას კომპლექსური საკითხების გაანალიზებისას.

**ინტერდისციპლინარული შრომის შედეგი**

მოსწავლეებმა, გუნდებში მუშაობისას, შექმნეს ციფრული კონტენტი შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: Canva, Padlet და Mentimeter. ერთობლივად მოამზადეს პრეზენტაციები და პოდკასტების სერია, რომლებსაც თვითონვე უძღვებოდნენ და სადაც აჟღერებდნენ საკუთარ პერსპექტივებს მეცნიერებასთან დაკავშირებული სოციალური გამოწვევების შესახებ.

**დებატები და რეფლექსია**

სტრუქტურირებული დებატებით და თანატოლებთან დისკუსიებით, მოსწავლეებს საშუალება მიეცათ გამოეხატათ და დაეხვეწათ საკუთარი შეხედულებები, იმავდროულად ევარჯიშათ პატივისცემაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დიალოგის წარმართვაში. ამ გამოცდილებამ მოსწავლეებს გაუღრმავა ცოდნა მეცნიერების ყოველდღიურ ცხოვრებაზე ზეგავლენის შესახებ და უბიძგა კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციისა და უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოქმედებისკენ.

*როგორც მასწავლებელი, მივხვდი, რომ სოციო-სამეცნიერო საკითხები აუცილებელია მოქალაქეობრივი განათლების მიწოდებისას. ტულმინის არგუმენტაციის მოდელმა, მოსწავლეებს გაუუმჯობესა კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი. წყაროს სანდოობის შეფასებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირების უნარი, მათ ძლიერ და პასუხისმგებლობით სავსე მოქალაქეებად აყალიბებს.*

*იყო აქტიური მოქალაქე, ნიშნავს იღებდე ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს და პატივისცემით ეპყრობოდე განსხვავებულ აზრს. ასევე ნიშნავს სანდო ინფორმაციის მოძიებას საზოგადოებრივი პრობლემების შესასწავლად და პოზიტიური ცვლილებების ხელშესაწყობად. მომავლის ფორმირებაში, ყველა ადამიანს თავისი როლი აკისრია, ხოლო მცირე ქმედებებს უდიდესი ცვლილების მოხდენა შეუძლია.*



## ევროპელი ცვლილების შემქმნელები

**ქვეყნები:** ირლანდია, ნიდერლანდები, სლოვენია, ესპანეთი

**საგანმანათლებლო საფეხური:** 10-12 კლასები

**პროექტის ბმული:** :https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/european-changemakers/twinspace

**რეზულტატი:** https://shorturl.at/AY9EV

**პროექტის შინაარსი:** 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების თემაზე შექმნილ პროექტში, მოსწავლეებმა დემოკრატიული ჩართულობის, ახალგაზრდების ადვოკატირებისა და დეზინფორმაციის საკითხები შეისწავლეს. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა უმეტესობას არ ჰქონდა საარჩევნო ხმის უფლება, მათ აქტიურად შეისწავლეს, თუ როგორ მუშაობს დემოკრატია და როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს ცვლილების ხელშეწყობა. პოლიტიკური მანიფესტის მოფიქრების, კამპანიის შემუშავებისა და ერთობლივი კვლევების მეშვეობით, მოსწავლეებმა გააცნობიერეს მოქალაქეობის პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები ეროვნულ და ევროპულ დონეზე.

**როგორ განხორციელდა:**

**მოზარდების მიერ მართული კოლაბორაცია**

პროექტის ფარგლებში, ევროპარლამენტის 50 ელჩი სკოლის 100-ზე მეტი მოსწავლე საერთაშორისო გუნდებში გადანაწილდა. მოსწავლეებმა ერთობლივად შეისწავლეს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, შეიმუშავეს პოლიტიკური წინადადებები და დააორგანიზეს კამპანიები. პოლიტიკური მანიფესტისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველი სტრატეგიების შემუშავებისას, მონაწილეები, თითოეულ ეტაპზე, იყენებდნენ კრიტიკულ აზროვნებასა და სამოქალაქო წიგნიერებას.

**თემის ჩართულობა და უკუკავშირი**

გუნდებმა საკუთარი ნამუშევრები ვებინარზე გაუზიარეს საზოგადოებას და მიიღეს უკუკავშირი თანატოლებისა და ექსპერტებისგან, რამაც ხელი შეუწყო რეფლექსიას, დისკუსიასა და შემოქმედებითობის დახვეწას. აქტივობები მოიცავდა საჯარო გამოსვლებს, ციფრულ ადვოკატირებასა და ფაქტების გადამოწმების სავარჯიშოებს, რომელთა მიზანიც იყო მოსწავლეთა გაძლიერება, რათა მათ ესაუბრათ და თავისუფლად გამოეხატათ საკუთარი იდეები.

**მოქნილობა და მასშტაბი**

პროექტის მოქნილი და სხვადასხვა კონტექსტზე ადაპტირებადი სტრუქტურის წყალობით, მასწავლებლებს საშუალება ჰქონდათ მოეხდინათ პროექტის მოდიფიცირება თავიანთი კლასების საჭიროებების მიხედვით. სრულად თუ ნაწილობრივი გამოყენებისას, პროექტი უზრუნველყოფდა მნიშვნელოვან სამოქალაქო ჩართულობასა და მედიაგანათლებას, რაც მოსწავლეებს გლობალურად აზროვნებისა და ლოკალურად მოქმედებისკენ მოუწოდებდა.

*მოქალაქეობა არ უნდა ისწავლებოდეს ცალკე საგნად და არ უნდა იყოს მხოლოდ სასკოლო ცხრილში არსებული ფორმალობა. მოქალაქეობა უნდა ინტეგრირდეს სკოლის ცხოვრებაში, მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დემოკრატიის დანახვა თავიანთ სკოლაში და ჩართულობა ამგვარ პროცესებში ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიცაა მოსწავლეთა საბჭო, კლასის წარმომადგენლები, ცნობიერების ამაღლების კამპანიები და მსგავსი პროექტები.*

*eTwinning-ის პროექტების დახმარებით, გაცილებით მეტის სწავლა შეგიძლიათ, ვიდრე ჩვეულებრივ გაკვეთილებზე. აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, რადგან eTwinning-ის მეშვეობით გართობა-გართობით გავიუმჯობესე უნარები და ცოდნა.*





# 4 აქტივობები

ქვემოთ თავში წარმოგიდგენთ აქტივობებს, რომელთა მიზანია, აქტიური და მონაწილეობითი პედაგოგიკის გამოყენებით, გააცოცხლოს ყოველწლიური თემა „მოქალაქეობრივი განათლება: აღნიშვნა იმისა, რაც გვაერთიანებს“. აქტივობები შეგიძლიათ eTwinning-ის პროექტებში გააერთიანოთ ან დამოუკიდებლად განახორციელოთ. პროექტებით მოსწავლეები ეცნობიან მოქალაქეობის სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა საერთო იდენტობა, კრიტიკული აზროვნება, დემოკრატიული ჩართულობა, სოციალური პასუხისმგებლობა და კულტურული ცნობიერება.

## მშვიდობა და კონფლიქტების მოგვარება

საგანმანათლებლო საფეხური: ადრეული განათლება და ზრუნვა

აქტივობის სახელწოდება: „ვიზრდებით ერთად - ემპათიისა და პატივისცემის გზამკვლევი“

აქტივობა შემოთავაზებული იქნა ანტიგონი მავრომიხალის მიერ, რომელიც საბერძნეთის ქალაქ ათენის მე-100 საბავშვო ბაღში პედაგოგად მუშაობს.

**მიზნები**

აქტივობის მიზანია მოსწავლეების ჩართვა მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესში, რათა მოსწავლეებმა განივითარონ დიალოგის ნარმოების, მოლაპარაკებისა და მშვიდობიანი გადაწყვეტილების მოძიების უნარი. აქტივობის მიზნებია:

- მოსწავლეებს შორის თანამშრომლობისა და ემპათიის წახალისება, ჯგუფური აქტივობებისა და პირადი „სურვილების“ გაზიარების გზით,
- აქტიური მოსმენისა და ურთიერთპატივისცემის ხელშეწყობა, თითოეული მოსწავლისთვის საკუთარ საჭიროებებსა და განცდებზე საუბრის შესაძლებლობის უზრუნველყოფით,
- გუნდური მუშაობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის ხელშეწყობა, ტრანსნაციონალური ჯგუფების შექმნისა და ერთობლივი მხატვრული ექსპრესიის გზით,
- რესურსის (გზამკვლევის) შემუშავება, სასკოლო თემში ურთიერთგაგების, ემპათიისა და პრობლემების გადაჭრის უნარების განსავითარებლად.

**აღწერა**

- შესავალი (30 წუთი): მოსწავლეთა საბჭოს Freinet-ის ტექნიკის წარსადგენად, მასწავლებელი იხსენებს მოსწავლეებს შორის მომხდარი რეალური კონფლიქტის მაგალითს. მოსწავლეები განიხილავენ ზოგად პრობლემებს და „სურვილებს“, რომლებსაც შემდეგ ყოველკვირეულ, გაზიარებად დაფაზე წებოვანი ფურცლებით აფიქსირებენ. იქმნება დიდი ზომის პლაკატი, კვირის დღეების მითითებით, რომელზეც მოსწავლეებს შეუძლიათ მიამაგრონ წებოვანი ფურცლები.
- კენჭისყრა (15 წუთი): მოსწავლეები ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს ჩანაწერების მართვისა და პროცესის გასამარტივებლად.

- ყოველდღიური ჩანაწერი (10 წუთი): ყოველდღე მოსწავლეებს ეძლევათ დრო პლაკატზე „სურვილების“ დასამატებლად.
- პრეზენტაცია და კატეგორიზაცია: თავმჯდომარე და მდივანი მართავენ პლენარულ დისკუსიას ჩანაწერებთან დაკავშირებით. კლასი „სურვილებს“ შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: პატივისცემა, სიკეთე და უსაფრთხოება. მოსწავლეთა საბჭო აჯამებს „სურვილებს“ და ამზადებს მათ პარტნიორ სკოლებთან ვირტუალური შეხვედრისათვის.
- ტრანსნაციონალური თანამშრომლობა (40 წუთი): პარტნიორი სკოლების მოსწავლეები ვირტუალურად ხვდებიან ერთმანეთს და ადარებენ მომზადებული „სურვილების“ ჩამონათვალს. ჯგუფები განიხილავენ მსგავსებებსა და განსხვავებებს, ასევე თანხმდებიან ზოგად კატეგორიებზე.
- კრეატიული გამოხატვა და გადაწყვეტის გზების შეთავაზება (45 წუთი): მოსწავლეები უერთდებიან კონკრეტული კატეგორიის ჯგუფს (თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე) და იწყებენ მუშაობას ტრანსნაციონალურ ჯგუფებში. ციფრული ინსტრუმენტების (მაგ. Draw Chat, Colorillo) დახმარებით, ჯგუფები ქმნიან თითოეული კონფლიქტის მოსაგვარებლად მათ მიერ მოფიქრებული გამოსავლის ვიზუალურ პრეზენტაციას (ნახატს).
- საბოლოო რეზულტატი (1 საათი): გზამკვლევში უნდა იქნეს მითითებული თითოეული კატეგორიის „სურვილები“ ერთ მხარეს, შესაბამისი კრეატიული ნახატი და გამოსავალი კი მეორე მხარეს (Canva ინსტრუმენტი). სურვილისამებრ: გზამკვლევის გასამრავალფეროვნებლად, „სურვილებსა“ და გამოსავლებს დაუმატეთ სხვადასხვა ენაზე მომზადებული აუდიო ჩანაწერები.

**შეფასება**

- მოსწავლეები მოკლე კომენტარით აფასებენ საკუთარ წვლილსა და სასწავლო პროცესს.
- მასწავლებელი აფასებს დისკუსიის სიღრმეს, კრეატიულობასა და გამოსავლების პრაქტიკულობას. ასევე ფასდება აქტიური მონაწილეობა, ემპათიისა და პატივისცემის გაცნობიერება, გზამკვლევის საბოლოო ვერსიის ხარისხი.
- გზამკვლევი ფასდება სიცხადის, შემოქმედებითობის, მოსწავლეების „სურვილებისა“ და გადაწყვეტების ეფექტურად წარდგენის საფუძველზე. დამატებით, ასევე გაითვალისწინება მრავალენოვანი აუდიოჩანაწერის გამოყენება.



## გარემოსდაცვითი ცნობიერება და სამოქალაქო ჩართულობა

საგანმანათლებლო საფეხური: დაწყებითი განათლება

აქტივობის სახელწოდება: „ფუტკრების მოყვარული სკოლა - პეტიცია უფრო მეტი ველური ყვავილის მოსაშენებლად”

აქტივობა შემოთავაზებული იქნა პარასკევი ბელოგიას მიერ, რომელიც მუშაობს ინგლისური ენის მასწავლებლად საბერძნეთის ქალაქ ლარისას მე-16 დაწყებით სკოლაში.

**მიზნები**

აქტივობის მიზანია, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო ჩართულობის წახალისებით, მოსწავლეების ჩართვა პრაქტიკულ და რეალურ ინიციატივაში. პროექტის მიზნებია:

- ცოდნის მიწოდება სამოქალაქო ჩართულობის შესახებ და ჩვენება იმისა, თუ როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ადგილობრივ დონეზე,
- ცნობიერების ამაღლება ფუტკრებისა და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ,
- დამაჯერებელი წერისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარება,
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთქმედების წახალისება.

**აღწერა**

შესავალი პეტიციის შესახებ (45 წუთი)

- aTwinSpaceforum-ზე დაიწყეთ დისკუსია შემდეგი თემის განხილვით: *რას ნიშნავს პეტიცია? შეუძლია პეტიციას დადებითი ცვლილებების მოხდენა? როგორ?*
- შექმენით გვერდი TwinSpace-ზე, სადაც მიუთითებთ მარტივი და წარმატებული პეტიციების მაგალითებს, ასევე ბმულებს. იმავე გვერდზე შექმენით TwinBoard და სთხოვეთ მოსწავლეებს ერთმანეთს სხვა წარმატებული მაგალითები გაუზიარონ.
- მოამზადეთ და ჩაატარეთ გაკვეთილი ზემოაღნიშნული თემის გასაცნობად. რატომ არის ფუტკარი მნიშვნელოვანი? რისთვის სჭირდება ფუტკარს უფრო მეტი ველური ყვავილი? თუ პარტნიორი სკოლები განსხვავებული პრობლემის წინაშე დგანან, მათ შეუძლიათ იმუშაონ თავიანთ აქტუალურ საკითხებზე და შემდეგ მთავარ თემას შეადარონ.
- განიხილეთ მერის როლი და ის, თუ როგორ მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებები გარემოზე.
    - დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ იფიქრონ, თუ რას მოიცავს მათი აზრით მერის ფუნქცია-მოვალეობები.
    - სთხოვეთ ჯგუფებს მოამზადონ მცირე პრეზენტაცია, სლაიდების გამოყენებით, მერის დანიშნულების შესახებ.

პრობლემის იდენტიფიცირება (30 წუთი)

- განიხილეთ ბიომრავალფეროვნება და ჰაბიტატის დაკარგვა გლობალური პერსპექტივიდან, ამავდროულად დაუკავშირეთ ეს

ყველაფერი ადგილობრივ პრობლემებს. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ფუტკარი მნიშვნელოვანი მწერია დამტვერვისათვის, ჰაბიტატის დაკარგვა კი, ფუტკარს უამრავ პრობლემას უჩენს.

- სთხოვეთ მოსწავლეებს დააკვირდნენ სკოლის ეზოს (თუ შესაძლებელია, ცოტა ხნით გაისეირნეთ კიდეც გარეთ) და დაადგინონ, რამდენად საკმარისია ყვავილების რაოდენობა ფუტკრებისთვის. პროექტის TwinSpace-ზე, მოსწავლეებს შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი სკოლების ეზოების ფოტოები ან ვიდეოები.
- ონლაინშეხვედრაზე, სთხოვეთ მოსწავლეებს გონებრივი შტურმის მეშვეობით მოიფიქრონ იდეები, პრობლემის გადაჭრის გზების მოსაფიქრებლად: *რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენს სკოლაში ფუტკრების დასახმარებლად?*

პეტიციის მომზადება (30 წუთი)

- პეტიციის მოსამზადებლად გამოიყენეთ ონლაინთანამშრომლობის ინსტრუმენტები. უზრუნველყავით, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებმაც შეძლონ რეალურ დროში რედაქტირება და შენიშვნების გაკეთება. ერთად შეიმუშავეთ პეტიციის ტექსტი, რომლითაც მერს სთხოვთ დახმარებას, რომ სკოლის ეზოსა და საზოგადოებრივ რეკრეაციულ სივრცეებში უფრო მეტი ველური ყვავილი დაირგოს. პეტიციის ტექსტის ნიმუში:

  *ძვირფასო მერო [სახელი],*
  *ჩვენ, [სკოლის სახელი]-ის მოსწავლეები, შეშფოთებულები ვართ ჩვენს ქალაქში ფუტკრების რაოდენობის შემცირების გამო. ფუტკარი ძალზედ მნიშვნელოვანია მცენარეების დამტვერვისათვის, თუმცა, მათ ძალიან უჭირთ ისეთი ყვავილების პოვნა, რომელიც მათ საკვებად გამოადგებათ. გთხოვთ, დაგვეხმაროთ ჩვენი სკოლის ეზოსა და ადგილობრივ სკვერებში უფრო მეტი ველური ყვავილის დათესვაში. ამით დავეხმარებით ფუტკარს გადარჩენაში, ასევე უფრო გავამწვანებთ და გავალამაზებთ ჩვენს დასახლებას. იმედი გვაქვს, ჩვენს თხოვნას მხარს დაუჭერთ. გმადლობთ!*

- არ დაგავიწყდეთ პეტიციაზე ადგილის გამოყოფა ხელმომწერთა სახელებისთვის და უშუალოდ ხელმოწერებისთვის.
- შეაგროვეთ ხელმოწერები (1–2 დღე, გაკვეთილების შემდეგ)
- წაახალისეთ მოსწავლეები, შეაგროვონ ხელმოწერები თანაკლასელებისგან, მასწავლებლებისა და მშობლებისაგან. სთხოვეთ მოსწავლეებს, აუხსნან ხელმომწერებს პეტიციის მნიშვნელობა.

შეხვედრისთვის მზადება (30 წუთი)

- გაიარეთ რეპეტიცია, თუ როგორ წარუდგენთ პეტიციას მერს და განუსაზღვრეთ მომხსენებლებს როლები (პრობლემის გაცნობა, პეტიციის წარდგენა, კითხვებზე პასუხის გაცემა).

შეხვედრა მერთან (30–60 წუთი, ხელმისაწვდომობის მიხედვით)

- დაგეგმეთ ვიზიტი მერის ოფისში ან მერი (ან მისი წარმომადგენელი) სკოლაში მოიწვიეთ.
- მიეცით მოსწავლეებს საშუალება ოფიციალურად წარადგინონ საკუთარი პეტიცია.

რეფლექსია და დისკუსია (45 წუთი)

- მოსწავლეები პარტნიორებთან ერთად განიხილავენ, თუ როგორი შეგრძნება დაეუფლათ აქტივობის შესრულებისას. შეგიძლიათ ასევე სთხოვოთ მოსწავლეებს, აღწერონ თავიანთი გამოცდილება



TwinBoard-ზე, რათა უცხოელ თანატოლებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა გაიგონ, თუ რაზეა საუბარი.

- გაანალიზეთ, თუ რა ისწავლეს მოსწავლეებმა სამოქალაქო ჩართულობის კუთხით. დაყავით მოსწავლეები საერთაშორისო ჯგუფებად და სთხოვეთ მოამზადონ ინფოგრაფიკა სამოქალაქო ჩართულობის შესახებ, საკვანძო გზავნილების მითითებით.
- ჰკითხეთ თუ რა იქნება მათი შემდგომი ნაბიჯები, თუკი მერი მხარს დაუჭერს მათ წინადადებას ან თუ დასჭირდებათ დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

**შეფასება**

- პირდაპირ ეთერში გამოკითხვის ჩასატარებლად, გამოიყენეთ Mentimeter ან სიტყვების ღრუბელი (მაგ., რა ისწავლეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გამოცდილებიდან?).
- Google Maps-ის ან Padlet-ის გამოყენებით, შექმენით ერთობლივი ზემოქმედების რუკა, სადაც მონიშნავთ თითოეული სკოლის პეტიციას, იმის გამოსახვით, თუ სად განახორციელეს მოსწავლეებმა კონკრეტული ქმედება. სკოლებს შეეძლებათ დაამატონ ფოტოები, ვიდეოები ან მოკლე შეჯამება საკუთარი პეტიციებისა და შედეგების შესახებ.
- დაგეგმეთ დასკვნითი ვირტუალური შეხვედრა, სადაც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ პეტიციებს, ისაუბრებენ, თუ რა ისწავლეს და გაუზიარებენ ერთმანეთს სამომავლო სამოქმედო გეგმებს.

**შენიშვნა**

- აქტივობის ადაპტირება შესაძლებელია მოსწავლეებისთვის აქტუალური საკითხების მიხედვით, მაგალითად, პლასტმასის ნარჩენების შემცირება, სათამაშო მოედნების უსაფრთხოების გაუმჯობესება და საზოგადოებრივ ადგილებში უფრო მეტი ნარჩენების გადამამუშავებელი ურნების განთავსება.
- წაახალისეთ მოსწავლეები, რომ იმოქმედონ მათთვის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად, დაეხმარეთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარებაში და დაარწმუნეთ, რომ მათ ხმას ნამდვილად აქვს ძალა და შეუძლია ცვლილების მოხდენა.
- აქტივობა ასევე შეიძლება ადაპტირდეს ადრეული განათლებისა და ზრუნვის საფეხურზე მყოფი მცირეწლოვანი მოსწავლეებისთვისაც.

## დემოკრატია და სოციალური პასუხისმგებლობა

საგანმანათლებლო საფეხური: 6-9 კლასები

აქტივობის სახელწოდება: „Kidtopia-ს კონსტიტუციის შექმნა“

აქტივობა შემოთავაზებული იქნა ესინ იალჩინის მიერ, რომელიც მუშაობს სოციალური მეცნიერებების პედაგოგად თურქეთის Hasanağa Şehit Piyade Er Kadir Çavuşoğlu-ის საშუალო სკოლაში

**მიზნები**

აქტივობის მიზანია მოსწავლეებს შთაუნერგოს დემოკრატიული პრინციპები, სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური ცხოვრებისთვის აუცილებელი ნორმები. ძირითადი მიზნებია:

- მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში მათი სამომავლო როლის შესახებ,
- მოსწავლეების უფრო შეგნებულ და პასუხისმგებლობიან ადამიანებად ფორმირების ხელშეწყობა,
- რეფლექსიის წახალისება კრიტიკული აზროვნების, საერთო სიკეთეებისა და პირადი პასუხისმგებლობის შესახებ,
- სამოქალაქო ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება დემოკრატიულ კონტექსტში.

**აღწერა**

- შესავალი საზოგადოებისა და დემოკრატიის შესახებ (30 წუთი): დასაწყისისთვის, მოსწავლეებს გააცანით დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური ნორმების კონცეფცია. განიხილეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნორმების არსებობა წესრიგის, სამართლისა და სამართლიანობის შესანარჩუნებლად. სთხოვეთ, TwinBoard/TwinSpace-ის გვერდზე დაასახელონ რეალური კონსტიტუციების ან სოციალური შეთანხმებების მაგალითები, რათა მოხდეს ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ იმართება საზოგადოებები შეთანხმებული ნორმების მიხედვით.
- გონებრივი იერიში (30 წუთი): დაყავით მოსწავლეები საერთაშორისო ჯგუფებად (3–5 წევრი) ცალ-ცალკე ოთახებში, ან ასინქრონულ სადისკუსიო დაფაზე. სთხოვეთ მოსწავლეებს წარმოიდგინონ, რომ ისინი ახალი ქალაქის, Kidtopia-ს, დამფუძნებლები არიან. ქვემოთ მოცემული კითხვების მეშვეობით, მოსწავლეები იწყებენ გონებრივ შტურმს იმის განსახილველად, თუ როგორი სურთ რომ იყოს Kidtopia:
    - *როგორი უნდა იყოს ქალაქი? როგორი გარემო იქნება მასში?*
    - *რა საკვანძო ღირებულებებით წარიმართება კიდტოპიაში ცხოვრება?*
    - *როგორ უნდა მოეპყრან კიდტოპიაში მცხოვრები ადამიანები ერთმანეთს?*
- ჯგუფები საკუთარ იდეებს გაზიარებად დოკუმენტში ასახავენ და ერთობლივად ქმნიან ქალაქის ესკიზს, ასევე ხატავენ Kidtopia-ს დროშას/სიმბოლოს. პრეზენტაციები იტვირთება TwinSpace-ზე, სადაც სხვა გუნდებსაც შეეძლებათ ნაშრომების ნახვა და შენიშვნების დატოვება.
- შემდეგ, ჯგუფებს სთხოვეთ წარმოადგინონ საკუთარი ხედვა Kidtopia-ს შესახებ, მათ შორის ისაუბრონ ქალაქის ძირითად ღირებულებებსა და მიზნებზე, რომელთა მიღწევის სურვილიც ექნებათ თავიანთ საზოგადოებაში. გონებრივი იერიშით, მოსწავლეები აყალიბებენ საზოგადოების მართვისთვის აუცილებელ წესებს. ყველა მოსწავლე ჩართულია ისეთი ნორმების შემუშავებაში, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს თემში მშვიდობა, წესრიგი და სამართლიანობა.
- ახლა კი, როდესაც მოსწავლეებს უკვე აქვთ მკაფიო ხედვა ქალაქის შესახებ, სთხოვეთ მოიფიქრონ წესები, რომლებშიც აისახება სასურველი და აუცილებელი ღირებულებები. იმავე ჯგუფებში, მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეშვეობით, ქმნიან კონკრეტულ კანონებსა და რეგულაციებს, Kidtopia-ში მშვიდობის, წესრიგისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. წესების მოფიქრების გასამარტივებლად, გამოიყენეთ შემდეგი კითხვები:
    - *რა უფლება- მოვალეობები ექნებათ კიდტოპიის მოქალაქეებს?*
    - *როგორ მოხდება კონფლიქტების მოგვარება?*



- შემდეგ, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ნორმების საკუთარ ჩამონათვალს. მოსწავლეები ერთობლივად განიხილავენ, შეაქვთ შესწორებები და კენჭს უყრიან (TwinSpace-ზე გამოკითხვის ოფციის გამოყენებით) წესებს, რომლებიც უნდა აისახოს Kidtopia-ს კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტში.
- რეფლექსია (45 წუთი): მოსწავლეები რეფლექსირებენ, თუ რას ნიშნავს იყო პასუხისმგებლობიანი მოქალაქე კონკრეტულ საზოგადოებაში. მოუწოდეთ მოსწავლეებს იფიქრონ, თუ როგორ უკავშირდება Kidtopia-ს წესები მათ როლს საზოგადოებაში და როგორ შეუძლიათ Kidtopia-ს ღირებულებების გამოყენება საკუთარ ცხოვრებაში. მოსწავლეებს შეუძლიათ გაუზიარონ თანატოლებს რეფლექსიები ვერბალური ან წერილობითი ფორმით.

**შეფასება**

- იდეების გენერირების, დებატებისა და ჯგუფური დისკუსიების დროს, პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობასა და მონაწილეობას.
- მოსწავლეები გამოხატავენ უკუკავშირს თანატოლების ჩართულობისა და იდეების შესახებ.
- მოსწავლეები წარმოადგენენ მცირე რეფლექსიას ან სამოქმედო წინადადებას, დეტალური აღწერით იმისა, თუ როგორ შეძლებენ Kidtopia-ს კონსტიტუციაში ასახული ღირებულებების გამოყენებას რეალურ ცხოვრებაში.

## გენდერული თანასწორობა და სამოქალაქო ჩართულობა

საგანმანათლებლო დონე: **10-12 კლასები**

აქტივობის სახელწოდება: „ქალთა ასამბლეა - ქალთა ხმები ანტიკური დროიდან, თანამედროვეობამდე“

აქტივობა შემოთავაზებული იქნა მარია ლორენცა კამპანელას მიერ, რომელიც მუშაობს ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად იტალიის ქალაქ ვიბო ვალენციას LiceoScientificoStatale „G. Berto“ სკოლაში (საშუალო სკოლა)

**მიზნები**

მოცემული აქტივობა ერთ-ერთი eTwinning-ის პროექტის ნაწილია, რომელიც ესპანეთის ორ, იტალიის ორ, საფრანგეთის ერთ და საბერძნეთის ერთ სკოლასთან პარტნიორობით განხორციელდა. გენდერული როლებისა და სამოქალაქო ჩართულობის შესახებ ცოდნის გაძლიერების მიზნით, მოსწავლეები ერთვებიან ისტორიული და თანამედროვე ქალების შედარებით კვლევაში. ძირითადი მიზნებია:

- მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება ქალთა ისტორიული სტატუსისა და ქალთა უფლებების ევოლუციის შესახებ,
- გენდერული უთანასწორობის და მისი აქტუალობის შესწავლა დღევანდელ სამყაროში, ამავდროულად სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება,
- კლასიკური ენების შესწავლის პოპულარიზაცია და კლასიკური კულტურის, როგორც ევროპული მოქალაქეობის საფუძვლის, პატივისცემისკენ მოწოდება.

**აღწერა**

მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ საერთაშორისო გუნდებში, რათა შეისწავლონ ანტიკური ხანის 10 გავლენიანი ქალის ისტორია, რომლებმაც მნიშვნელოვანი

წვლილი შეიტანეს თავიანთი თემის განვითარებაში. ამის შემდეგ, მოსწავლეები ადარებენ აღნიშნულ ქალბატონებს იმ თანამედროვე ქალებს, რომლებიც მოსწავლეებისთვის შთაგონებას წარმოადგენენ, ასევე განიხილავენ მსგავსებას წარსულსა და აწმყოში არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებს შორის.

- თემის შერჩევა (1 კვირა): მოსწავლეები TwinSpace-ის პროექტის ფორუმზე მართავენ დისკუსიას და თანხმდებიან, თუ რომელ ისტორიულ პერსონებს შეისწავლიან.
- კვლევის ფაზა (2 კვირა): მოსწავლეები ატარებენ კვლევას მათ მიერ არჩეული ისტორიული ფიგურის შესახებ და აგროვებენ ინფორმაციას სანდო წყაროდან.
- მასალის შემუშავება (2 კვირა): მოსწავლეები აჯამებენ დასკვნებს, უთითებენ ინფორმაციის წყაროს და აყალიბებენ სააზროვნო კითხვებს დასკვნითი ვიქტორინისთვის.
- ინტერვიუსთვის მზადება (2 კვირა): ინტერვიუსთვის, თითოეული მოსწავლე ირჩევს საკუთარი თემის ერთ ქალ წარმომადგენელს, რომელიც მისი შთაგონების წყაროა და აგროვებს ინფორმაციას მისი გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ.
- ატვირთვა და რეფლექსია (1 კვირა): მოსწავლეები ინტერვიუებს TwinSpace-ზე ტვირთავენ და იმ ისტორიულად მნიშვნელოვანი ქალების მიხედვით ახარისხებენ, ვისთანაც თავს აიდენტიფიცირებენ. ასევე წერილობით განმარტავენ საკუთარ არჩევანს.
- საზღვრისმიღმა შთაგონება (2–3 კვირა): მოსწავლეები ეცნობიან სხვა ქვეყნებში მყოფი თანატოლების ინტერვიუებს, ირჩევენ ერთ კონკრეტულ ქალს, რომელიც მათში ინსპირაციას იწვევს, ერთვებიან ფორუმის დისკუსიებში და საუბრობენ საკუთარ არჩევანზე. ასევე გამოთქვამენ შენიშვნებს თანაკლასელების არჩევანთან დაკავშირებით.

**შეფასება**

- აქტიური ჩართულობა ვიქტორინაში, ანტიკურ ხანაში მცხოვრები ქალების წვლილის გააზრების შესაფასებლად.
- მონაწილეობა შთამაგონებელი, ისტორიული და თანამედროვე ქალების მნიშვნელობის შესახებ რეფლექსიურ დისკუსიებში.
- საკლასო განხილვებში მონაწილეობა და განხილული თემების გაგების დემონსტრირება.

## სამეცნიერო მსჯელობა და აქტიური მოქალაქეობა

საგანმანათლებლო დონე: **10-12 კლასები**

აქტივობის სახელწოდება: „არგუმენტირებული მსჯელობა მოქმედებისთვის: სოციო-სამეცნიერო საკითხების არგუმენტირებული განხილვა“

აქტივობა შემოთავაზებული იქნა იაპრაკ ბებეკის მიერ, რომელიც მუშაობს ბიოლოგიის მასწავლებლად თურქეთის ქალაქ, გიოლჩუკის სამეცნიერო საშუალო სკოლაში

**მიზნები**

აქტივობის მიზანია სოციო-სამეცნიერო საკითხების შესწავლის გზით კრიტიკული აზროვნების, სამეცნიერო მსჯელობისა და აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა. ძირითადი მიზნებია:



- საზოგადოებაზე ნეგატიურად მოქმედი აქტუალური პრობლემების შეფასებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გააზრება,
- აქტიური მოქალაქეობის პრაქტიკული გამოყენება ინფორმირებული დისკუსიისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში,
- ემპათიის განვითარება სხვადასხვა პერსპექტივებისა და ეთიკური შედეგების გათვალისწინებით,
- ციფრული თანამშრომლობის უნარების გაუმჯობესება, ონლაინდისკუსიაში ჩართულობის ხელშეწყობით.

**აღწერა**

- შესავალი სოციო-სამეცნიერო საკითხებსა და არგუმენტირებაში (30 წუთი): შესავლის სახით, მოსწავლეებს გააცანით სოციო-სამეცნიერო საკითხების (SSIs) კონცეფცია, მათ შორის ვაქცინაცია, კლიმატის ცვლილება და ხელოვნური ინტელექტის ეთიკა. ამის შემდეგ, მარტივი მაგალითის გამოყენებით, აუხსენით მოსწავლეებს ტულმინის არგუმენტაციის მოდელი (დებულება, მსჯელობა, დასკვნა) და დაეხმარეთ არგუმენტის სტრუქტურირების გააზრებაში. აჩვენეთ მოკლე ვიდეორგოლი ან სტატია, რათა გაუღვივოთ ინტერესი მოსწავლეებს თემის ირგვლივ და მოამზადოთ კონტექსტი განსახილველი საკითხებისთვის. მოსწავლეები ერთვებიან მცირე ვიქტორინაში ან დისკუსიაში TwinSpace-ის ფორუმზე, რათა შეამოწმონ, თუ რამდენად გაიაზრეს საკითხი.
- თემის არჩევა და ჯგუფის ფორმირება (30 წუთი): მოსწავლეები განიხილავენ სხვადასხვა სოციო-სამეცნიერო საკითხებს, რომლებიც მათ თემს ან გლობალურ კონტექსტს უკავშირდება. კენჭისყრის მეშვეობით (გამოკითხვა ან TwinSpace-ის ფორუმი), მოსწავლეები აქტივობისთვის ირჩევენ ერთ მთავარ საკითხს. მოსწავლეები იყოფიან მცირე საერთაშორისო ჯგუფებად (4-5 მოსწავლე ჯგუფში).
- კვლევის ფაზა (1–2 საათი, ასინქრონული): თითოეული ჯგუფი იკვლევს შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ სხვადასხვა პერსპექტივას და აგროვებს მტკიცებულებებს არგუმენტების დასასაბუთებლად. მოსწავლეები დასკვნებს ტულმინის მოდელის გამოყენებით აორგანიზებენ, აღწერენ არგუმენტებს დებულებებით, ამყარებენ მონაცემებით/მსჯელობითა და დასკვნებით. კვლევის შედეგების დოკუმენტირებისა და გაზიარებისთვის, ასევე მოსწავლეთა შორის ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, გამოიყენეთ ციფრული თანამშრომლობის ინსტრუმენტები (TwinSpaces, Google Docs, Padlet ან Jamboard).
- ონლაინარგუმენტაციის სესია (1-საათიანი სინქრონული დისკუსია): აღნიშნულ ეტაპზე, ჯგუფები ონლაინშეხვედრაზე წარმოადგენენ საკუთარ არგუმენტებს, უზიარებენ თანატოლებს დებულებებსა და დასაბუთებას/მსჯელობას. ჯგუფები ერთმანეთთან ურთიერთობენ კონტრარგუმენტების, ალტერნატიული თვალსაზრისის შეთავაზებისა და ერთმანეთის მოსაზრებებისადმი პატივისცემის დემონსტრირებით. პედაგოგი დისკუსიის მოდერატორია, უზრუნველყოფს რა დებატების სტრუქტურირებულ, ინკლუზიურ და პატივისცემით სავსე გარემოში წარმართვას.
- რეფლექსია და მოქმედება (30 წუთი): მოსწავლეები რეფლექსირებენ, თუ როგორ შეცვალა ან გააძლიერა დისკუსიამ მათი შეხედულებები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. დასკვნით ეტაპზე, მოსწავლეები იმავე საერთაშორისო გუნდებში, საბოლოოდ აყალიბებენ თავიანთ არგუმენტებს და ამზადებენ მოკლე სამოქმედო წინადადებას ან პოლიტიკურ შეთავაზებას. ეს შეიძლება მოიცავდეს

ქმედებას, მაგალითად, წერილის გაგზავნას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზებას. მოუწოდეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ, თუ რა როლი შეიძლება მათ, როგორც აქტიურმა მოქალაქეებმა, შეასრულონ განხილული საკითხების მოგვარებაში. აქტივობის დასასრულს, სასურველია მომზადდეს პოსტერი ან ოფიციალური წერილი, და ა.შ.

**შეფასება**

- პედაგოგები, სპეციალური რუბრიკის მეშვეობით, ონლაინდისკუსიების მიმდინარეობისას, აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას. შეფასების კრიტერიუმებია: დებულებების სიცხადე, დასაბუთების/მსჯელობის ხარისხი და სხვა მონაწილეების არგუმენტებისადმი პატივისცემის დემონსტრირება.
- მოსწავლეები ავსებენ უკუკავშირის ფორმას, რითაც კონსტრუქციულ უკუკავშირს აწვდიან თანატოლებს თანამშრომლობისა და არგუმენტირების ხარისხთან დაკავშირებით.
- მოსწავლეები წარმოადგენენ წერილობით რეფლექსიას ან სამოქმედო წინადადებას, სადაც ახდენენ დემონსტრირებას იმისა, თუ როგორ განვითარდა მათი შეხედულებები აქტივობის დროს და როგორ იმოქმედებენ მომავალში, როგორც აქტიური მოქალაქეები.
- ასევე შეიძლება ჩატარდეს ვიქტორინა ტულმინის მოდელისა და სოციო-სამეცნიერო მსჯელობის კონცეფციების გაგებისა და აქტივობის განმავლობაში ინსტრუმენტების გამოყენების შესაფასებლად.

## ადამიანის უფლებების ადვოკატირება

საგანმანათლებლო დონე: **10-12 კლასები**

აქტივობის სახელწოდება: „იბრძოლეთ თქვენი უფლებებისთვის“

აქტივობა შემოთავაზებული იქნა კორნელია ალინა მოტის მიერ, რომელიც დაწყებითი სკოლის მასწავლებელია რუმინეთის ქალაქ გავოიდიას საშუალო სკოლაში

**მიზნები**

აქტივობის მიზანია, ცნობიერების ამაღლების, კრიტიკული აზროვნებისა და თანამშრომლობითი მეთოდების გამოყენებით, მოსწავლეების ჩართვა ადამიანის უფლებების გააზრებასა და ადვოკატირებაში. ძირითადი მიზნებია:

- ცნობიერების ამაღლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და მათდამი პატივისცემის მნიშვნელობის შესახებ,
- მოწყვლადი ჯგუფების მიმართ ემპათიისა და სოლიდარობის გაძლიერება,
- კრიტიკული აზროვნების განვითარება ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტული მაგალითების გაანალიზებით,
- თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება.

**აღწერა**

- მოკლედ განუმარტეთ მოსწავლეებს ადამიანის უფლებების კონცეფცია და მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.



გააცანით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საკვანძო პუნქტებზე ფოკუსირებით. შექმენით საერთაშორისო ჯგუფები და ჩაატარეთ გამოკითხვა, მოცემული ეტაპისთვის ადამიანის უფლებების შესახებ მოსწავლეების ცოდნის ხარისხის შესაფასებლად.

- ჯგუფები იწყებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესწავლას. თითოეული ჯგუფი იკვლევს ერთ კონკრეტულ მუხლს. მონაწილეები ეცნობიან და განიხილავენ ადამიანის უფლებების დარღვევის რეალურ შემთხვევებს (მაგ., სიტყვის თავისუფლება, განათლების მიღების უფლება და ა.შ.). შექმენით სადისკუსიო ფორუმი TwinSpace-ზე, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი დასკვნები და მოსაზრებები აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით.
- მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან საინფორმაციო ვიზუალური მასალა (მაგალითად, პოსტერი, პრეზენტაცია ან ვიდეორგოლი) ერთ კონკრეტულ უფლებაზე ფოკუსირებით, რომელსაც TwinBoard-ზე გააზიარებენ. მოსწავლეები ასევე ერთვებიან როლურ თამაშებში, სადაც ახდენენ უფლებების დარღვევასთან ან დაცვასთან დაკავშირებული სიტუაციების სიმულირებას. მონაწილეები მომზადებულ სცენარებს ორივე მხარის როლის შესრულებით გაითამაშებენ და წარუდგენენ თანატოლებს.
- გარდა ამისა, მოსწავლეები ერთვებიან სიმულაციაში, რომლის ფარგლებშიც ამზადებენ ღია წერილს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელისუფლებო ორგანოში გასაგზავნად, აქცენტირებას კი ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ კონკრეტულ პრობლემაზე ახდენენ. შეგიძლიათ ასევე გამართოთ ონლაინკონფერენცია, სადაც გუნდები წარმოადგენენ თავიანთ დასკვნებს და მომზადებულ მასალებს. სურვილისამებრ, პროექტის შედეგები შეგიძლიათ გააზიაროთ საჯაროდ (წინასწარი ნებართვის საფუძველზე) ან წარადგინოთ სკოლაში ცნობიერების ამაღლების პროექტის ფარგლებში.

**შეფასება**

- მოსწავლეები ავსებენ შემაჯამებელ კითხვარს, რითაც აფასებენ საკუთარ ცოდნას ადამიანის უფლებების შესახებ, აქტივობამდე და აქტივობის შემდეგ.
- მოსწავლეები რეფლექსირებენ, თუ რა ისწავლეს და როგორ შეძლებენ მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას.

## კრიტიკული ციფრული წიგნიერება

საგანმანათლებლო დონე: **10-12 კლასები**

აქტივობის სახელწოდება: “ხელოვნური ინტელექტის საფრთხეები განათლებაში“

აქტივობა შემოთავაზებული იქნა რომინა მარკესანის მიერ, რომელიც ინგლისური ენის პედაგოგად და მასწავლებლების ტრენერად მუშაობს იტალიის, IIS Acchaiuoli-Einaudi Ipsia G. Marconi Ortona’ სკოლაში (საშუალო განათლება)

**მიზნები**

აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, რამეთუ მოუწოდებს გაანალიზონ ხელოვნური ინტელექტის ნაკლოვანებები განათლების სფეროში, შეისწავლონ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები და გააცნობიერონ ადამიანური კონტროლის მნიშვნელობა. საზოგადოებაზე ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენის განხილვისას, მოსწავლეებს უძლიერდებათ საკუთარი, ანუ პასუხისმგებლობით

სავსე და აქტიური მოქალაქეების როლის აღქმა, სწავლობენ ტექნოლოგიური მიღწევების კრიტიკულად შეფასებასა და ტექნოლოგიების პასუხისმგებლობიან გამოყენებას აკადემიურ და საზოგადოებრივ კონტექსტში. ძირითადი მიზნებია:

- განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უარყოფითი მხარეების შესწავლა და კრიტიკული ანალიზი,
- კრიტიკული აზროვნებისა და ციფრული წიგნიერების განვითარება,
- ერთგვერდიანი ბროშურის შექმნით, კრეატიულობისა და ციფრული წიგნიერების გაუმჯობესება,
- განათლების სფეროში ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული გამოწვევების მოგვარების გზების შემუშავებით, პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარება.

**აღწერა**

აქტივობა დაიწყეთ ინტერაქტიული პრეზენტაციით ან მოკლე ვიდეორგოლით:

- რას ნიშნავს ხელოვნური ინტელექტი? როგორ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი სკოლაში (მაგ. ჩატბოტი, ავტომატური შეფასება, სასწავლო ანალიტიკა)?
- განიხილეთ შემდეგი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების სარგებელი და რისკები: ChatGPT, პროგნოზირების ალგორითმი, სახის ამოცნობა საკლასო ოთახში და ა.შ.

მოსწავლეთა მოსაზრებების შესაგროვებლად, გამოიყენეთ გამოკითხვა (poll) ან ციფრული TwinBoard:

- სად გხვდებათ ხელოვნური ინტელექტი თქვენს აკადემიურ გამოცდილებაში?
- რა წუხილები გაგაჩნიათ განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით?

მოსწავლეები ქმნიან სამი მოსწავლისგან დაკომპლექტებულ საერთაშორისო ან ადგილობრივ გუნდებს. გუნდები:

- იკვლევენ განათლების სფეროში ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ სამ ან ოთხ ძირითად ნაკლოვანებას ან წუხილს (მაგ., მიკერძოება, მონაცემთა კონფიდენციალურობა, ემპათიის ნაკლებობა, დეზინფორმაცია, ხელოვნურ ინტელექტზე ზედმეტი დამოკიდებულება),
- აგროვებენ მაგალითებს, სატელევიზიო რეპორტაჟებს ან ექსპერტების მოსაზრებებს,
- იდეების ორგანიზებისთვის, იყენებენ გაზიარებად კვლევით დოკუმენტს ან TwinBoard-ს.

თითოეული გუნდი იწყებს მუშაობას ერთგვერდიანი ბროშურის მოსამზადებლად. ბროშურაში უნდა იქნეს მითითებული:

- ზოგადი ინფორმაცია საკითხის შესახებ (ხელოვნური ინტელექტი განათლებაში),
- მიმზიდველი სათაური და მოკლე შესავალი, განათლებაში ხელოვნური ინტელექტის როლზე აქცენტირებით,
- მკაფიოდ ჩამოყალიბებული ნაკლოვანებები, ლაკონური



აღწერილობითა და მაგალითებით,
- გამოწვევების გადაჭრის შესაძლო გზები,
- ვიზუალური მასალა, საზღვრებისა და დიზაინის ელემენტების გამოყენებით, წაკითხვადობისა და ინტერესის გასაუმჯობესებლად,
- ერთგვერდიანი ბროშურის საბოლოო ვერსია: მოსწავლეებს შეუძლიათ მასალა მოამზადონ ხელით ან Canva-ს გამოყენებით (ტუტორიალი მიმაგრებულია),
- კორექტირება და რედაქტირება; გუნდები ამოწმებენ საკუთარ ნამუშევრებს სიზუსტის, სიცხადისა და ხარისხის თვალსაზრისით.

გუნდები საბოლოო პროდუქტს (სკანირებული სურათი ან ციფრული ფაილი) TwinBoard-ზე აქვეყნებენ, ავტორების სახელების, სკოლისა და ქვეყნის მითითებით.

**შეფასება**

- მოსწავლეები ერთვებიან დისკუსიაში, გამოთქვამენ კონსტრუქციულ უკუკავშირს სხვა გუნდების ნამუშევრების შესახებ.
- ჯგუფური რეფლექსია გამოვლენილ ხარვეზებსა და შემოთავაზებულ გადაწყვეტილებებზე.

**შენიშვნები**

- მოცემული აქტივობა შეიძლება ადაპტირდეს საწყისი პროფესიული განათლებისა და გადამზადების მსმენელებისთვის, ფოკუსირებით იმაზე, თუ როგორ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი პროფესიულ გარემოში, მათ შორის წარმოების ავტომატიზირებულ პროცესებში, ტექნიკურ სფეროში პროგნოზირებადი ტექნიკური მომსახურების ან ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ მომხმარებელთა მომსახურების ინსტრუმენტებში.
- დამატებით ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი იდეა: რამდენად შეესაბამება ხელოვნური ინტელექტი ინდუსტრიის სტანდარტებსა და რეგულაციებს. აქტივობაში გამოიყენეთ პრაქტიკული სავარჯიშოები, სადაც მონაწილეები გაეცნობიან მათი პროფესიული სფეროსთვის შესაბამისი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს და გაესაუბრებიან ინდუსტრიაში მომუშავე პროფესიონალებს დასაქმების ადგილზე ხელოვნური ინტელექტის დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით.





# 5 დასკვნა

წიგნში აღწერილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ **განათლება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ პიროვნული ხასიათის, ღირებულებებისა და სათემო სულისკვეთების ჩამოყალიბებასაც გულისხმობს.** თავისი არსით, მოქალაქეობრივი განათლება ნიშნავს ახალგაზრდების მომზადებას, რათა მათ კრიტიკულად, ემპათიითა და გაბედულებით დაამყარონ კავშირი სამყაროსთან.

მოცემული კრებული, სავსე eTwinning-ის საზოგადოების მრავალფეროვანი და შთამაგონებელი მაგალითებით, გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მოქალაქეობრივი განათლების შეტანა საკლასო ოთახში, არა როგორც დამოუკიდებელი საგნის, არამედ როგორც **ცოცხალი, აქტიური გამოცდილების სახით.** წიგნში წარმოდგენილი eTwinning-ის პროექტები, ადრეული განათლებიდან დაწყებული, პროფესიული და საშუალო საფეხურით დამთავრებული, გვასწავლის, თუ როგორ გარდაქმნის საზღვრებსმიღმა თანამშრომლობა აბსტრაქტულ ღირებულებებს კონკრეტულ და ტრანსფორმაციულ ქმედებებად. ასევე გვიჩვენებს, თუ როგორ ტრანსფორმირდება ცნობისმოყვარეობა კვლევით პროცესად, როგორ ანვითარებს თანამშრომლობა ემპათიას და როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს გახდნენ აქტიური მოქალაქეები რეალური სამყაროს გამოწვევებთან გასამკლავებლად.

ის, რაც ყველა ამ ისტორიას აერთიანებს არის რწმენა, რომ **მოქალაქეობა პრაქტიკული ნაბიჯებით ისწავლება.** აქტივობები, იქნება ეს ფუტკრებზე ზრუნვა, დებატები ციფრული უფლებების შესახებ, კულტურული მემკვიდრეობის კვლევა თუ მანიფესტის მომზადება უკეთესი ევროპისათვის, გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები ცოდნის პასიური მიმღებები კი არ არიან, არამედ აქტიურად მონაწილეობენ საკუთარი თემის ფორმირებასა და უფრო სამართლიანი, ინკლუზიური და მდგრადი სამყაროს შექმნაში.

ამ გამოცდილების მისაღებად, eTwinning უზრუნველყოფს სივრცეს, ინსტრუმენტებსა და შთაგონებას. eTwinning აკავშირებს საკლასო ოთახებს, ხელს უწყობს ინოვაციებსა და გეხმარებათ თქვენ, მასწავლებლებს, რათა დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებლური ღირებულებები - **პატივისცემა, ჩართულობა, პასუხისმგებლობა, სოლიდარობა და კრიტიკული აზროვნება** - პრაქტიკაში დანერგოთ. eTwinning გეხმარებათ თქვენ და თქვენს მოსწავლეებს გეოგრაფიული და კონცეპტუალური საზღვრების გადალახვაში, რათა ჭეშმარიტად ევროპულ და გლობალურ მოქალაქეობას შეეწყოს ხელი.

წიგნი გთავაზობთ იდეებს, გამოცდილებასა და რესურსებს თქვენი პედაგოგიური პრაქტიკის მხარდასაჭერად. ასევე გიწვევთ **რეფლექსიის, ექსპერიმენტებისა და სხვათა შთაგონებისკენ.** მოქალაქეობრივი განათლება არ ნიშნავს მხოლოდ დანიშნულების წერტილისკენ სვლას; არამედ ესაა გზა, რომელსაც ერთად გავდივართ, ხოლო ყოველი ახალი თაობა, ამ მოგზაურობას საკუთარი ხმით, იდეებითა და ხედვებით ამრავალფეროვნებს.

ვინაიდან ჩვენი მთავარი საზრუნავი მომავალია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი საკლასო ოთახი, ხვალინდელი საზოგადოებაა. დრო, ენერგია და ზრუნვა, რასაც თქვენ სამოქალაქო ცნობიერებისა და ჩართულობის განვითარებაში ჩადებთ, სკოლის კედლების მიღმა აუცილებლად ჰპოვებს ასახვას. თქვენ მხოლოდ განათლებას არ აწვდით მოსწავლეებს, არამედ აყალიბებთ ინფორმირებულ, ემპათიით სავსე და ძლიერ მოქალაქეებს.

ჩვენი თანამშრომლობით არა მხოლოდ ჩვენს მსგავსებას აღვნიშნავთ, არამედ ჩვენს უნიკალურობასაც ვუსვამთ ხაზს.

# 6 გამოყენებული ლიტერატურა


Council of the European Union, Council conclusions on the contribution of education and training to strengthening common European values and democratic citizenship, (C/2023/1419), https://eur-lex.europa.eu/eli/C/2023/1419/oj/eng

Council of the European Union, Council conclusions on the contribution of education and training to strengthening common European values and democratic citizenship, (C/2023/1339), https://eur-lex.europa.eu/eli/C/2023/1339/oj/eng

Council of the European Union, Council Recommendation of 22 May 2018 on promoting common values, inclusive education, and the European dimension of teaching, (2018/C 195/01), https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32018H0607%2801%29

Council of the European Union, Council Recommendation of 22 May 2018 on key competences for lifelong learning, (2018/C 189/01), https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=oj:JOC_2018_189_R_0001

Council of the European Union, Council Resolution on a strategic framework for European cooperation in education and training towards the European Education Area and beyond (2021-2030), (2021/C 66/01), https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32021G0226%2801%29

Damiani, V., Losito, B., Agrusti, G. & Schulz, W., Young citizens' views and engagement in a changing Europe, 2024, https://doi.org/10.1007/978-3-031-68631-3

European Commission, Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on the Action Plan on Basic Skills, COM (2025) 88 final, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:52025DC0088

European Commission, Working groups of the EEA strategic framework, 2024,https://education.ec.europa.eu/about-eea/working-groups

European Commission: Directorate-General for Education, Youth, Sport and Culture, ECORYS, van Driel, B., ECORYS, Donlevy, V. et al., Issue paper on citizenship education, Publications Office of the European Union, 2023, https://data.europa.eu/doi/10.2766/306946

European Commission: Directorate-General for Education, Youth, Sport and Culture, Policy brief on citizenship education, Publications Office of the European Union, 2024, https://data.europa.eu/doi/10.2766/576903

Paris Declaration on promoting citizenship and the common values of freedom, tolerance and non-discrimination through education, 2015, Informal meeting of European Union Education Ministers, https://wikis.ec.europa.eu/spaces/EAC/pages/55903445/Equality+and+Values+Documents?preview=/55903445/121439779/paris_declaration_2015_en.pdf





# 7 აღვნიშნავთ etwinning-ის 20 წლის იუბილეს: ვაკავშირებთ მასწავლებლებს, ხელს ვუწყობთ განათლებას

## eTwinning: როგორ დაიწყო ეს ყველაფერი

2005 წლის იანვარში, ევროკომისიამ, ელექტრონული სწავლების პროგრამის ფარგლებში, პირველად წარმოგვიდგინა eTwinning, რომლის მიზანიც იყო ევროპაში არსებული სკოლების დაკავშირება ციფრული თანამშრომლობის მეშვეობით. ტრადიციული, დაფინანსებული პროგრამებისგან განსხვავებით, eTwinning, ცოდნის გაცვლისა და კულტურათშორისი დიალოგისთვის, უსაფრთხო ონლაინპლატფორმაზე უფასო წვდომას უზრუნველყოფდა.

eTwinning-ის ამოქმედებისთანავე პირველივე წელს, **27 ქვეყნის, 7000 სკოლის 10 000 მასწავლებელმა,** თითქმის 2000 პროექტში მიიღო მონაწილეობა. ახალი პროგრამისათვის, ეს ძალზედ იმედისმომცემი დასაწყისი იყო. გათვალისწინებით იმისა, რომ ტრადიციული სწავლებიდან **ტექნოლოგიებით გაძლიერებულ სწავლებაზე** გადასასვლელად, აუცილებელია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ინტეგრირება, ყოფილმა კომისარმა, იან ფიგელმა eTwinning-ს „ოქროს შესაძლებლობა“ უწოდა, რადგან მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა გაეუმჯობესებინათ საინფორმაციო და საკომუნიკაციო უნარები, ეთანამშრომლათ სხვადასხვა საგნების ფარგლებში, გაეღრმავებინათ ცოდნა ევროპის ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.

2006 წლისთვის, პროგრამაში მონაწილეთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა, რამაც მკაფიოდ დაგვანახა როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების, ძლიერი და მზარდი ენთუზიაზმი ციფრული თანამშრომლობისადმი. eTwinning, თავისი უნიკალური მიდგომით, სხვა ევროპული საგანმანათლებლო პროგრამებისგან განსხვავებული აღმოჩნდა: ფინანსური გრანტების გაცემის ნაცვლად, eTwinning სკოლებს უზრუნველყოფდა უფასო წვდომით **უსაფრთხო ონლაინ** პლატფორმაზე, რითაც სკოლებს შორის **პარტნიორობას** უწყობდა ხელს**.** ამგვარმა მოქნილობამ, სკოლებს საშუალება მისცა კავშირი დაემყარებინათ ერთმანეთთან სხვადასხვა პროექტებზე სამუშაოდ, რაც გულისხმობდა როგორც რამდენიმეკვირიან და მოკლევადიან თანამშრომლობას, ასევე გრძელვადიან ინტეგრაციას სასწავლო პროგრამებში.

> ***eTwinning-ის სქემა გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ევროპის ნებისმიერი წერტილი გაკვეთილებზე შემოვიტანოთ. eTwinning-ში მონაწილეობით, მოსწავლეები იწყებენ სხვადასხვა კულტურისა და ენის დაფასებას, იუმჯობესებენ კომპიუტერთან მუშაობის უნარებს. შესაბამისად, eTwinning არა მხოლოდ ევროპის კონტინენტზე მცხოვრებ ევროპელებს აახლოებს, არამედ ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტად სჭირდება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დამოკიდებულ ეკონომიკებს.***

> ***იან ფიგელი, ყოფილი ევროკომისარი განათლების საკითხებში***

ორი ათწლეულის შემდეგაც კი, **1.2 მილიონზე მეტი დარეგისტრირებული მასწავლებლით, 170 000 ევროპული პროექტითა** და მილიონობით აქტიური მონაწილით, eTwinning კვლავ ციფრული სწავლებისა და ევროპული თანამშრომლობის შთამბეჭდავი მაგალითია, რომელიც მუდმივად საგანმანათლებლო ტენდენციების ავანგარდშია.

## eTwinning ერთი თვალის გადავლებით

დროში მოგზაურობა: საეტაპო მოვლენები

**2005** eTwinning-მა ფუნქციონირება დაიწყო

**2006** შეიქმნა ეროვნული ხარისხის ნიშანი - პირველი eTwinning-ის პრიზი, რომელიც გამარჯვებულებს ავსტრიის ქალაქ ლინცში გამართულ პირველ, ყოველწლიურ კონფერენციაზე გადაეცათ.

**2007** eTwinning გახდა „უწყვეტი განათლების პროგრამის“ ერთ-ერთი მთავარი ინიციატივა (2007–2013). შეიქმნა ევროპული ხარისხის ნიშანი.

**2010** 100,000 დარეგისტრირებული პედაგოგი. შემუშავდა ონლაინკურსი მასწავლებელთა უნარების განსავითარებლად.

**2012** პროგრამა გაფართოვდა და მოიცვა ახალი წევრი ქვეყნები: სომხეთი, მოლდოვას რესპუბლიკა, ტუნისი, უკრაინა, აზერბაიჯანი და საქართველო.

**2014** Erasmus+-ში ინტეგრაცია, რამაც გააუმჯობესა თანამშრომლობა ევროპულ სკოლებს შორის.

**2018** პროგრამას უერთდებიან ლიბანი და იორდანია, რითაც ძლიერდება პარტნიორობა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის. შეიქმნა eTwinning-ის სკოლის ნიშანი, სკოლების როლურ მოდელებად აღიარების უზრუნველსაყოფად.

**2020** კოვიდ-19 პანდემიის დროს, eTwinning დისტანციური სწავლების სასიცოცხლო ინსტრუმენტია.

**2022** ინტეგრაცია „ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმაში“, რამაც მთავარი სასკოლო საგანმანათლებლო პლატფორმები გააერთიანა.

**2023** საზოგადოებრივი ინიციატივა „eTwinning უკრაინის მხარდასაჭერად“ საზოგადოებრივი სოლიდარობის მობილიზებას ახდენს.

**2024** ამუშავდა eTwinning-ისა და ESEP-ის მობილური აპლიკაცია.

**2025** eTwinning 20 წლის იუბილეს აღნიშნავს.



**20 წელი ETWINNING-თან ერთად**

**მონაწილე ქვეყანა**: 46

**დარეგისტრირებული სკოლა:** 312,000

**მონაწილე eTwinner**: 1.2 მილიონი

**პროექტები**: 170,000

**პროექტებში მონაწილე მოსწავლეები**: 12 მილიონი

*eTwinning ევროპული წარმატების შთამბეჭდავი ისტორიაა. როგორც Erasmus+ პროგრამის ნაწილი, eTwinning ეფუძნება ღირებულებებს, რომლებიც ყველას გვაერთიანებს: ევროპული თანამშრომლობა, ინკლუზიურობა და ხარისხიან განათლებაზე წვდომა. თქვენ, eTwinning-ის მასწავლებლები eTwinning-ის საზოგადოების მამოძრავებელი ძალა ხართ. eTwinning ვერასდროს იქნებოდა ის, რაც დღეს არის, ენთუზიაზმით აღსავსე მასწავლებლების ჩართულობის გარეშე.*

*მარია გაბრიელი, ყოფილი ევროკომისარი (2021 წლის დეკემბერი)*

## eTwinning - ევროპელი პედაგოგების საზოგადოება

eTwinning გასცდა ციფრული თანამშრომლობის ფარგლებს, როდესაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, დამხმარე ინსტრუმენტად მოგვევლინა ერთ-ერთ რთულ პერიოდში. კოვიდ-19 პანდემიის დროს, eTwinning-ი დაეხმარა მასწავლებლებს, შეუფერხებლად გადასულიყვნენ ონლაინსწავლებაზე, რათა ციფრული ინსტრუმენტებისა და პროფესიონალთა გაერთიანებული ძალისხმევით, მოსწავლეთა ჩართულობა შენარჩუნებულიყო. გარდა ამისა, eTwinning-ის საზოგადოებამ გამოხატა სოლიდარობა უკრაინელი პედაგოგებისა და მოსწავლეების მხარდასაჭერად, ამავდროულად, ხაზი გაუსვა ჰუმანიტარული დახმარების მნიშვნელობას. eTwinning არაერთი ეროვნული პოლიტიკური დოკუმენტის ნაწილია. eTwinning განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც ხდება მისი ინტეგრირება ოფიციალურ სასწავლო გეგმებში, მასწავლებელთა აღიარებისა და პროფესიული განვითარების სქემებში. ასეთი ძალისხმევა ხაზგასმით ადასტურებს eTwinning-ის მნიშვნელოვან ზეგავლენას მასწავლებლებზე მთელს ევროპაში, რაც არაერთი კვლევით, ანგარიშითა თუ შრომით დადასტურდა[18].

18 – https://europa.eu/!4w4cQb

## რას ამბობენ მასწავლებები?

***ჩემი კარიერა eTwinning-ით დაიწყო.*** სწორედ eTwinning-მა მაქცია ისეთ პედაგოგად, როგორიც დღეს ვარ. კარი გამიხსნა თანამშრომლობის, ინოვაციებისა და უწყვეტი სწავლისკენ გზაზე, რაც პროფესიულ და პიროვნულ ზრდაში დამეხმარა. მიღებული გამოცდილება უწყვეტად ***მიბიძგებს განვვითარდე*** და მივაღწიო აკადემიურ წარმატებებს. ლიანა კარაპეტიანი, სომხეთი

eTwinning სწორედ ის ადგილია, სადაც ხდება ჩემი პროფესიული ინტერესებისა და ***ჩემი კოლეგების ენთუზიაზმის*** თანხვედრა, რათა ვითანამშრომლოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ევროპაში უკეთესი განათლების ხელშეწყობაში. ირენა რაიკოვა, ასწავლის 7-11 წლის მოსწავლეებს, ანგელ კანჩევის სახელობის 137-ე საუნალო სკოლა, ბულგარეთი

eTwinning-ის დახმარებით, მე და ჩემი მოსწავლეები გავცდით საკლასო ოთახის კედლებს და ***შევაბიჯეთ თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და კულტურული გაცვლების სამყაროში.*** eTwinning-ის მეშვეობით, ჩვენ ვიღებთ ცოდნას, ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას და ვიზრდებით. eTwinning არის მოგზაურობა საზღვრების გარეშე, რაც ჩვენი ევროპული მომავლის საფუძველია. ანდრიანი ქრისტოდულუ, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, ასწავლის 6-12 წლის მოსწავლეებს, კოფინოუს დაწყებითი სკოლა მიჰალოპულეო, კვიპროსი.

***eTwinning-ში პირველად, 2007 წელს მივიღე მონაწილეობა, როდესაც ხორვატია ჯერ კიდევ არ იყო ევროკავშირის წევრი.*** კოლეგების მოსმენისა და განათლებაში ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობების გაცნობის შემდეგ, უდიდესი სიხარული დამეუფლა. მახსოვს, ჩემი პირველი შთაბეჭდილება, როდესაც როგორც იქნა აღმოვჩნდი ჩემნაირი ადამიანების გვერდით, რომლებიც ენთუზიაზმით იყვნენ აღსავსე განათლებაში ცვლილებების მოსახდენად. დღეს, 2025 წელს, 18 წლის შემდეგ, მე ვხელმძღვანელობ ხელოვნური ინტელექტის გუნდს ევროპის ციფრული განათლების ცენტრში, ვმუშაობ ევროკომისიაში ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპებზე და ვარ თანაავტორი ციფრული და ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების ჩარჩო დოკუმენტისა, რომელთაგან ვერცერთი განხორციელდებოდა eTwinning-ის მხარდაჭერის გარეშე. ლიდია კრალი, მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებელი, ასწავლის 10-15 წლის მოსწავლეებს, ვლიკი ბუკოვეცის Osnovna škola, ხორვატია.



ჩვიდმეტი წელია, eTwinning ჩემი აღფრთოვანების მიზეზია! ჩემს ***IVET*** მოსწავლეებთან ერთად, ბევრი ზღაპრული და უნიკალური პროექტი განვახორციელე. მოსწავლეებს ***ძალიან მოსწონდათ*** თანამშრომლობით პროექტებზე განსხვავებული მეთოდით მუშაობა, რამაც მათ ***თავდაჯერებულობა*** გაუძლიერა, ამავდროულად მათი ***ავტონომია*** წაახალისა, საშუალება მისცა რა ეთანამშრომლათ და ***გასცდეწოდდნენ საკლასო ოთახის კედლებს.*** ჩემთვის eTwinning აუცილებლობაა! მურიელ დეჟონი, ინგლისური და ფრანგული ენების მასწავლებელი, IVET, Lycée des métiers Louis Blériot, ტრაპი, საფრანგეთი

***მასწავლებელთა საწყისი მომზადება (ITE), eTwinning და შერეული ინტენსიური პროგრამები (BIP) Erasmus+ მობილობის პროექტები,*** საშუალებას აძლევს მომავალ მასწავლებლებს შეხვდნენ ერთმანეთს სწავლის პერიოდში, გაიუმჯობესონ ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმისათვის (ESEP)და TwinSpace-ის პროექტებისთვის საჭირო უნარები, ხოლო რამდენიმე წელიწადში, როდესაც მასწავლებლები გახდებიან, გააგრძელონ პროექტებზე ერთობლივად მუშაობა. არ მეგულება ამაზე უკეთესი გზა ***პროფესიული კავშირების დასამყარებლად,*** ამ საოცარი სისტემის გასაცნობად და ასევე ***ციფრული და კულტურათშორისი გამოწვევებისთვის მოსამზადებლად,*** რომლებსაც კურსდამთავრებულები პედაგოგების რანგში სამომავლოდ შეეჩეხებიან. ეს ყველაფერი ერთგვარი ხიდია დღევანდელობასა და მომავალს შორის, რადგან მომავალ მასწავლებლებს უვითარებს თავდაჯერებულობას, რომ შეისწავლონ სამყარო და შეიძინონ მეგობრები. რიჩარდ ფაუერსი, ციფრული განათლებისა და ვირტუალური გაცვლების პროფესორი, შტუტგარტის უნივერსიტეტი, გერმანია

ჩემთვის დიალოგი სწავლის, განვითარებისა და ინოვაციების საფუძველია. ***დიალოგი*** გულისხმობს როგორც სხვების მოსმენის უნარს, ასევე ჩვენი აზრების გამოთქმის შესაძლებლობას ***უსაფრთხო სივრცეში,*** სადაც ***ურთიერთპატივისცემა*** და ***თანასწორობა*** უზრუნველყოფილია. სწორედ დიალოგია eTwinning-ის ცენტრალური ასპექტი, რათა მივიღოთ შთაგონება ჩვენი ***მრავალფეროვნებით*** და დავაფასოთ ის, რაც გვაერთიანებს. თინა სარისალმი, პენსიონერი ინგლისური ენის მასწავლებელი, ასწავლიდა 8-13 წლის მოსწავლეებს, კულტავუორენ კოულუ, ფინეთი.

2013 წელს, პროექტისთვის „ცისარტყელას სოფელი“, eTwinning-ის პრიზი მომენიჭა, რაც ჩემთვის მუდმივ შეხსენებად იქცა იმისა, რომ ***ახალგაზრდებს შეუძლიათ უკეთესი სამყაროს შექმნა.*** თანამშრომლობის, კრეატიულობისა და აქტიური მოქალაქეობის დახმარებით, ჩვენმა მოსწავლეებმა წარმოსახვის უნარით შექმნეს სოლიდარობასა და მდგრადობაზე აგებული მომავალი. წარმოუდგენლად მადლიერი ვარ ბედის, რომ მოვხვდი eTwinning-ის ბანაკში, სადაც ვირტუალური მეგობრობა რეალობად იქცა. არასდროს დამავიწყდება, როგორ ემშვიდობებოდნენ ჩემი მოსწავლეები, თვალცრემლიანები, თავიანთ თანატოლ პარტნიორებს, როგორ იღვიძებდნენ მათი რუმინელი მეგობრები დილით ადრე, რათა შინ ხანგრძლივი მგზავრობის წინ, მეგობრებისთვის წყლით სავსე ბოთლები მიეტანათ, ან ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, როგორ გაემართნენ ბავშვები პირდაპირ სოფლის მოედანზე, რათა ხორვატიაში გატარებული თითოეული დაუვიწყარი მომენტი თანატოლებისთვის გაეზიარებინათ. ეს სწორედ ის მომენტებია, ***სადაც წათლად ჩანს eTwinning-ის არსი: რეალური კომუნიკაცია, გაზიარებადი ემოციები და რწმენა იმისა, რომ ერთად ჩვენ შეგვიძლია ცვლილებების მოხდენა!***პარასკევი ბელოგია, ინგლისური ენის მასწავლებელი, ასწავლის 6-12 წლის მოსწავლეებს, ქალაქ ლარისას მე-16 დაწყებით სკოლა, საბერძნეთი.

eTwinning-ში გაწევრიანების შემდეგ, აღმოვაჩინე თანამშრომლობის, ***ურთიერთგაზიარების, ზრუნვისა და უწყვეტი მეგობრობის*** მესაძლებლობები. დღემდე ვმუშაობ ჩემს პირველ პარტნიორთან ერთად, ვისთანაც ყოველწლიურად, მინიმუმ ერთ პროექტს მაინც ვახორციელებ. ჩვენ მუდმივად ვიძიებთ სწავლა-სწავლების ახალ მეთოდებსა და ***ვიზრდებით ერთად, როგორც პედაგოგები.*** კორნელია მელკუ, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, ასწავლის 6-11 წლის მოსწავლეებს, ნიკოლაე ორგიდან ბრაშოვის N9 სკოლა-გიმზანია, რუმინეთი.

eTwinning აღმოჩნდა ***გარდამტეხი მომენტი*** ჩემს პედაგოგიურ კარიერაში. 2013 წელს, როდესაც პროგრამას მოლდოვაც შეუერთდა, ძალიან გამიმართლა, რომ მაშინვე მოვახერხე დარეგისტრირება და ჩემი პროფესიული განვითარების შთამბეჭდავი თავგადასავალიც, ზუსტად მაშინ დაიწყო. პლატფორმაზე მყოფმა კვალიფიციურმა ტრენერებმა და თანამოაზრე კოლეგებმა არა მხოლოდ პროფესიული ზრდის საშუალება მომცეს, არამედ დამეხმარნენ ***მიმეღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: მსურდა თუ არა პროფესიაში დარჩენა.*** დავრჩი და ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ. მადლობა შენ ამისთვის, eTwinning! ტატიანა პოპა, სასწავლო ნაწილის მოადგილე, ასწავლის 12-16 წლის მოსწავლეებს, Heritage International School, მოლდოვას რესპუბლიკა.

eTwinning-მა მაჩვენა, თუ რამხელა სილამაზეა ***თანამშრომლობაში, ჩვენს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად***. სწორედ ეს ღიაობაა, რაც ძალიან კარგად მახსენდება და დღემდე შთამაგონებს, რომ აღმოვაჩინო სხვადასხვა ენები და კულტურები. კულტურათშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობის დანახვის შემდეგ, მარტივად მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩემი აკადემიური განათლების საგნად, კულტურათშორის გაცვლებზე ორიენტირებული კვლევები ამერჩია. მარტა კრჟიჟანოვსკა (eTwinning-ის ყოფილი მონაწილე) ფრანგული ენის ფაკულტეტის სტუდენტი, ვროცლავის უნივერსიტეტი, პოლონეთი.

ბოლო 19 წლის განმავლობაში, eTwinning-მა გამზარდა როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულადაც. eTwinning-ზე ხელმისაწვდომი, ჩემი კოლეგებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის დახმარებით, ავითვისე ციფრული ინსტრუმენტები, განვავითარე საერთაშორისო თანამშრომლობის უნარი და ვისწავლე ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული პროექტების შექმნა, რომლებიც ავითარებს კრეატიულობასა და კრიტიკულ აზროვნებას. აღნიშნულ პროცესში, შევიძინე სიღრმისეული ცოდნა ***21-ე საუკუნისთვის საჭირო უნარების, ინკლუზიურობისა და აქტიური მოქალაქეობის*** შესახებ, ანუ ***ცოდნა, რომელსაც დღეს უკვე სხვებს გადავცემ.*** ამჟამად, მიღებული გამოცდილების წყალობით, ვმუშაობ მუნიციპალიტეტის საერთაშორისო კოორდინატორის თანამდებობაზე, სადაც ვხელმძღვანელობ, შთავაგონებ და ვეხმარები პედაგოგებს, დაამყარონ გლობალური კავშირები და შექმნან მომავლისთვის შესაფერისი სასწავლო გარემო. მოკლედ, eTwinning-მა არა მხოლოდ შეცვალა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა და საერთაშორისო საქმიანობა, არამედ ***შემომთავაზა ისეთი შესაძლებლობები,*** რომელსაც ვერასდროს წარმოვიდგენდი. ანი ბერგი, საერთაშორისო კოორდინატორი, ასწავლის 6-16 წლის მოსწავლეებს, მალმოს მუნიციპალიტეტი, შვედეთი

მახსოვს ჩვენი პირველი eTwinning-ის გაკვეთილი და პირველი ონლაინშეხვედრა იტალიელ პარტნიორებთან. დანახვისთანავე, მათ ხელი დაგვიქნიეს და წამოიძახეს: „გამარჯობა!“ ჩემი მოსწავლეები ისე დაიბნენ, რომ ორი გოგონა მაგიდის ქვეშაც კი ჩაიმალა. სამი წლის თავზე, სწორედ ამ მოსწავლეებმა მოიპოვეს ევროპის პრიზი. სკოლაში ვიყავი ეს ამბავი ელექტრონული ფოსტით რომ შევიტყვე. შესვენება მქონდა, მაგრამ გავიქეცი ჩემს მოსწავლეებთან და ახალი ამბავი ვახარე. ***სიხარულისგან ბავშვებმა ხტუნვა და ყვირილი დაიწყეს.*** მეც მათსავით სიხარულს ვერ ვმალავდი. ამ მოსწავლეებმა სკოლა დიდი ხანია უკვე დაამთავრეს, მიიღეს უმაღლესი განათლება და დასაქმებულებიც არიან; ზოგიერთი დაოჯახდა კიდეც. მიუხედავად ამისა, როდესაც შევხვდებით ან როდესაც არდადეგებზე მომიკითხავენ ხოლმე, ***ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და მადლიერებით იხსენებენ ჩვენს eTwinning-ის პროექტებს.*** eTwinning-მა გააფართოვა მოსწავლეების თვალსაწიერი, მოუხსნა ენობრივი და ფსიქოლოგიური ბარიერი, წაშალა ყველა საზღვარი მოსწავლეებსა და მათ ევროპელ თანატოლებს შორის. მაია სელიათინამი, ინგლისური ენის მასწავლებელი, ოდესის მე-10 ლიცეუმი, უკრაინა

შემოუერთდით eTwinning-ს დღესვე და გახდით ევროპაში მოღვაწე პედაგოგების ყველაზე ინოვაციური და დინამიური საზოგადოების ნაწილი. დაუკავშირდით თანამოაზრეებს, გაუზიარეთ ცოდნა და შექმენით ეფექტური პროექტები, რომლებიც გასცდება გეოგრაფიულ საზღვრებს. დაიწყეთ თქვენი eTwinning თავგადასავალი დღესვე და დაგვეხმარეთ სამომავლო განათლების ფორმირებაში!

## კონტაქტი ევროკავშირთან

პერსონალურად

ევროკავშირის მასშტაბით, განთავსებულია Europe Direct-ის საინფორმაციო ცენტრები. უახლოესი ცენტრის მისამართი შეგიძლიათ მოიძიოთ ვებგვერდზე (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

ტელეფონით ან წერილობით

Europe Direct-ის სამსახური უპასუხებს თქვენს ნებისმიერ შეკითხვას ევროკავშირის შესახებ. სერვისთან დაკავშირება შესაძლებელია:

— უფასო სატელეფონო ნომერზე: 00 800 6 7 8 9 10 11 (ზოგიერთი სატელეფონო ოპერატორის შემთხვევაში, ზარი ფასიანია),
— სტანდარტულ ნომერზე: +32 22999696,
— მოცემულ ბმულზე განთავსებული ბლანკის საშუალებით: european-union.europa.eu/contact-eu/write-us_en.

## მოიძიეთ ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ

ონლაინრეჟიმში

ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ, ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე, ხელმისაწვდომია Europa-ს ვებგვერდზე (europa.eu).

ევროკავშირის გამოცემები

შემდეგ ელექტრონულ მისამართზე, შეგიძლიათ გაეცნოთ ან შეუკვეთოთ ევროკავშირის პუბლიკაციები: op.europa.eu/en/publications. უფასო პუბლიკაციების ასლების მისაღებად, დაუკავშირდით Europe Direct-ს ან ადგილობრივ ოფიციალურ ცენტრს (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

ევროკავშირის კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები

ევროკავშირის იურიდიული დოკუმენტების, მათ შორის, ევროკავშირის კანონმდებლობის გასაცნობად, რომელიც 1951 წლიდან ხელმისაწვდომია ყველა ოფიციალურ ენაზე, ეწვიეთ EUR-Lex (eur-lex.europa.eu).

ევროკავშირის ღია მონაცემები

ვებგვერდი data.europa.eu უზრუნველყოფს წვდომას ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სააგენტოების ღია მონაცემებზე. მასალების ჩამოტვირთვა და გამოყენება შესაძლებელია უსასყიდლოდ, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნებისთვის. ვებგვერდი ასევე უზრუნველყოფს წვდომას ევროპის ქვეყნების უამრავ საინფორმაციო რესურსზე.

EC-01-25-069-KA-N

**დაგვიკავშირდით**

eTwinning-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს:
https://school-education.ec.europa.eu/etwinning

eTwinning-ის შესახებ შეკითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით ელექტრონულ ფოსტაზე:
eacea-eplus-etwinning@ec.europa.eu

**„ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმის“ შესახებ**

2022 წელს დაფუძნებული, „ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმა“ (European School Education Platform) სკოლის პერსონალის (მათ შორის, ადრეული განათლების და ზრუნვის, დაწყებითი და საშუალო განათლების, საწყისი პროფესიული განათლებისა და გადამზადების საფეხურის), მკვლევრების, პოლიტიკის შემქმნელებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრის ადგილია.

„ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმა“ ერთიანი პლატფორმაა, რომელიც აერთიანებს eTwinning-ის, School Education Gateway-ისა და Teacher Academy-ის პლატფორმებსა და სერვისებს. ამჟამად, eTwinning-ი, უსაფრთხოდ განთავსებული „ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმაზე“, ხელმისაწვდომია მხოლოდ ეროვნული მხარდაჭერის ორგანიზაციების მიერ დარეგისტრირებული სკოლების თანამშრომლებისათვის. eTwinning უზრუნველყოფს უსაფრთხო ციფრულ პლატფორმას, სადაც მასწავლებლები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობაში, იქნება ეს ევროპული თანამშრომლობითი პროექტების შემუშავება და განხორციელება, თუ კოლეგებთან კავშირების დამყარება. 30-ზე მეტ ენაზე ხელმისაწვდომი eTwinning-ი, მასწავლებლებს რესურსების, სწავლისა და კავშირების დამყარების ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს.

„ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმა“ და eTwinning ფინანსდება „განათლების, ტრენინგების, სპორტისა და ახალგაზრდობის ევროპული პროგრამის Erasmus+“-ის მიერ, რომელიც ევროკომისიის განათლების, ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის გენერალური დირექტორატის ინიციატივას წარმოადგენს. eTwinning-ის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს European Schoolnet-ის მიერ შემოთავაზებული ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური, ასევე ეროვნული მხარდაჭერის ორგანიზაციები თითოეულ მონაწილე ქვეყანაში, რომელთა დაფინანსებასაც ახორციელებს Erasmus+ „ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან“ გაფორმებული საგრანტო შეთანხმებების შესაბამისად.

გამოგვყევით შემდეგ პლატფორმებზე:
Facebook: eTwinningEurope | YouTube: EuropeanSchoolEducation | Instagram: eTwinning_Europe

Publications Office of the European Union

ISBN 978-92-9488-953-9
doi: 10.2797/1935824